საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის არჩევნების მონიტორინგის

შემაჯამებელი ანგარიში

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) მიერ სადამკვირვებლო მისია განხორციელდა ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით.

ამ ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის CDD-ს და შესაძლოა არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის შეხედულებებს.

©2014, განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD)

სარჩევი

შესავალი 3
მოკლე მიმოხილვა 3
ძირითადი მიგნებები 5
არჩევნების სამართლებრივი და ორგანიზაციული ასპექტები 6
- სამართლებრივი ჩარჩო და კონტექსტი 6
- საარჩევნო სისტემა 7
- საარჩევნო ადმინისტრაცია 9
- ამომრჩეველთა სიები 13

წინასაარჩევნო გარემო 16
- პოლიტიკური ფონი 16
- არჩევნებში ჩართული მხარეები 17
- შეხვედრები საარჩევნო პროცესებში მონაწილე მხარეებთან 20
- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 21
- მედია გარემო 21
- წინასაარჩევნო საინფორმაციო კამპანია 23
- თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი კომისია 25
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან არსებული საკონსულტაციო კომისია 26
- წინასაარჩევნო პერიოდში არსებული პრობლემატიკა 26

არჩევნების I ტური 29
- სადამკვირვებლო მისია 29
- კენჭისყრის დღე 30
- კენჭისყრის დღეს არსებული დარღვევები, საჩივრები და დავები 32

არჩევნების შემდგომი პერიოდი 35
- ხმების შეჯამება და არჩევნების შედეგების გამოცხადება 35
- განმეორებითი კენჭისყრა 40

არჩევნების II ტური 41
- წინასაარჩევნო გარემო 41
- კენჭისყრის დღე 42
- კენჭისყრის დღეს არსებული დარღვევები, საჩივრები და დავები 43
- კენჭისყრის შედეგების შეჯამება 44

დასკვნა 44
რეკომენდაციები 45

შესავალი

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) დემოკრატიულ პრინციპებზე დაფუძნებული, წარმომადგენლობითი ორგანიზაციაა საქართველოში, რომელიც 2008 წლის 26 თებერვალს დაარსდა. ორგანიზაციის პრიორიტეტული მიმართულებებია: არჩევნების მონიტორინგი, მოქალაქეთა უფლებების დაცვა და ადვოკატირება, მათი ინფორმირებულობა მიმდინარე რეფორმებისა და პროცესების შესახებ. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი 2012 წლიდან აქტიურად აკვირდება საარჩევნო პროცესებს და განახორციელა 3 სადამკვირვებლო მისია: 2012 წლის საქართველოს პარლამენტის მორიგი არჩევნები, 2013 წლის საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები და 2013 წლის საქართველოს პრეზიდენტის მორიგი არჩევნები.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD), ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით, დააკვირდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების მიმდინარეობას საქართველოს 73 საარჩევნო ოლქში 150 კაციანი სადამკვირვებლო მისიით. CDD აკვირდებოდა როგორც წინასაარჩევნო, ასევე კენჭისყრის დღის (უბნის გახსნა, კენჭისყრის პროცესი და უბნის დახურვა) და არჩევნების შემდგომი პერიოდის მიმდინარეობას. არჩევნების დღეს მისია სრულად ფარავდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საარჩევნო უბნებს. სადამკვირვებლო მისია საკუთარი საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობდა ადგილობრივი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და ორგანიზაციის დამკვირვებლის ქცევის კოდექსის შესაბამისად. ჩვენი პრინციპებია: კანონის პატივისცემის დემონსტრირება, დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა, სიზუსტე, გამჭვირვალობა და პროფესიონალიზმი.

წინამდებარე ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდის, არჩევნების დღის, არჩევნების შემდგომი პერიოდისა და შედეგების შეჯამების პროცედურებზე, ასევე, განმეორებით არჩევნებსა და მერების/გამგებლების არჩევნების მეორე ტურზე.

მოკლე მიმოხილვა

საქართველოს პრემიერ მინისტრის 2014 წლის 14 აპრილს კონტრასიგნირებული საქართველოს პრეზიდენტის 2014 წლის 10 აპრილის N10/04/02 განკარგულებით, 2014 წლის 15 ივნისს დაინიშნა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების მორიგი არჩევნები.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები განსაკუთრებული იყო თავისი მასშტაბითა და საარჩევნო სუბიექტების სიმრავლით. საქართველოს მოქალაქეებს 2014 წლის 15 ივნისს 71 საკრებულოს დეპუტატი, 12 თვითმმართველი ქალაქის მერი და 59 თვითმმართველი თემის გამგებელი უნდა აერჩია. საქართველოს 12 თვითმმართველ ქალაქში პირველად ირჩევდნენ მერს პირდაპირი წესით, ხოლო დანარჩენ მუნიციპალიტეტებში ასევე პირდაპირი წესით ხდებოდა გამგებლების არჩევა.

სადამკვირვებლო ორგანიზაცია „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“ (CDD), ფონდი ღია საზოგადოება საქართველოს ფინანსური მხარდაჭერით, დააკვირდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების მიმდინარეობას საქართველოს 73 საარჩევნო ოლქში 150 კაციანი

სადამკვირვებლო მისიით. CDD აკვირდებოდა როგორც წინასაარჩევნო, ასევე კენჭისყრის დღის (უბნის გახსნა, კენჭისყრის პროცესი და უბნის დახურვა) და არჩევნების შემდგომი პერიოდის მიმდინარეობას. არჩევნების დღეს მისია სრულად ფარავდა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საარჩევნო უბნებს.

სადამკვირვებლო მისიის განსახორციელებლად კადრები დაკომპლექტდა ღია და გამჭვირვალე პროცესის შედეგად. 13 რეგიონული კოორდინატორი და გრძელვადიანი დამკვირვებელი შერჩეული იქნა 400-ზე მეტ მსურველს შორის აპლიკაციებისა და გასაუბრების შედეგად. სადამკვირვებლო მისიის დაკომპლექტებისას გათვალისწინებული იყო ორგანიზაციის გენდერული თანასწორობის პოლიტიკა, რის შედეგადაც მისიის დაკომპლექტების მაჩვენებელი გახლდათ 55% ქალი, 45% კაცი.

საარჩევნო პროცესების მონიტორინგისა და შესაბამის საარჩევნო ადმინისტრაციაში დაკვირვების განხორციელების მიზნით შერჩეული დამკვირვებლები, განაწილდნენ დისლოკაციების მიხედვით, მათ შორის:

- ორგანიზაციის ერთი დამკვირვებელი საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში, რომელიც დააკვირდა ცესკო-ს საქმიანობებს არჩევნების მთელი პერიოდის განმავლობაში.
- საქართველოს 73 საოლქო საარჩევნო კომისიაში თითო გრძელვადიანი დამკვირვებელი, რომლებიც როგორც საარჩევნო პერიოდში, ასევე არჩევნების შემდგომ პერიოდში (საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ შემაჯამებელი ოქმის შედგენამდე) დააკვირდნენ საოლქო საარჩევნო კომისიის მუშაობის სრულ პროცესს.
- თითოეულ საარჩევნო ოლქში მოკლევადიანი დამკვირვებლები (სადამკვირვებლო ჯგუფები), რომლებიც დააკვირდნენ საარჩევნო ოლქში შემავალ საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობასა და კენჭისყრის პროცესის მიმდინარეობას.

CDD-ის მიერ შემუშავებულ იქნა დაკვირვების განხორციელების მეთოდოლოგია, სამივე დონის საარჩევნო ადმინისტრაციის მუშაობის პრინციპების, რეგიონალური სპეციფიკისა საერთაშორისო პრაქტიკის გათვალისწინებით. მეთოდოლოგიის მომზადების პროცესში განხორციელდა სამუშაო შეხვედრები არჩევნების სფეროში მომუშავე სადამკვირვებლო მისიების განხორციელების პრაქტიკის მქონე, ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მეთოდოლოგიის შემუშავების შემდგომ განისაზღვრა დამკვირვებელთა სამოქმედო გეგმა, ლოჯისტიკური საკითხებისა და ეფექტური მენეჯმენტის გათვალისწინებით.

სადამკვირვებლო მისიის სათანადოდ მომზადების მიზნით, ჩატარდა გრძელვადიანი და მოკლევადიანი ტრენინგები მისიაში შემავალი ყველა რგოლისთვის (გრძელვადიანი და არჩევნების დღის დამკვირვებლები, მობილური ჯგუფები, სატელეფონო ოპერატორების ჯგუფი, იურისტების ჯგუფი და სხვ.). როგორც წინასაარჩევნო პერიოდში, ასევე არჩევნების დღეს ფუნქციონირებდა ცხელი ხაზი: 790 333 111, რომლის მეშვეობითაც ყველა დაინტერესებულ პირს მიეწოდებოდა ამომწურავი ინფორმაცია პროცესთან დაკავშირებით.

სადამკვირვებლო მისიის აღმოჩენების, გეგმებისა და მეთოდოლოგიის შესახებ საზოგადოების ინფორმირებისთვის ორგანიზებულ იქნა სხვადასხვა სახის ღონისძიებები:

10 ივნისიდან ამოქმედდა საარჩევნო მედიაცენტრი. CDD-ს მიერ მედიაცენტრში ჩატარდა სულ 5 პრეს-კონფერენცია, მათ შორის ერთი არჩევნების წინა დღეს 14 ივნისს, 3 არჩევნების დღეს – 15 ივნისს და ერთიც შემაჯამებელი სახის პრეს-კონფერენცია არჩევნების მეორე დღეს.

CDD აქტიურად მონაწილეობდა არჩევნების თემაზე შექმნილ სხვადასხვა მუშა ჯგუფებში, მათ შორის: ტექნიკური მუშა ჯგუფის (TWG), უწყებათაშორისი კომისიის (IAC/IATF), პარლამენტის ინტერფრაქციული ჯგუფისა და სხვ. ორგანიზაციის წარმომადგენლები აქტიურად ხვდებოდნენ საერთაშორისო მისიების წარმომადგენლებს.

აღსანიშნავია, 12 ივნისს განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) თავმჯდომარემ – ქეთევან ჩაჩავამ სპეციალური მოწვევით განახორციელა ტრენინგები ამერიკის შეერთებული შტატების, დიდი ბრიტანეთისა და ნიდერლანდების სახელმწიფოს საელჩოების თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისათვის ერთობლივი 90 კაციანი სადამკვირვებლო მისიის წევრებისათვის.

ძირითადი მიგნებები

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის სადამკვირვებლო მისიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციით თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისს კენჭისყრის პროცესმა მთელი ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულად, პროცედურების დაცვით ჩაიარა და შესაბამისად სადამკვირვებლო მისიის მიერ შეფასდა დადებითად.

სადამკვირვებლო მისიის მიერ კენჭისყრის მიმდინარეობისას, ასევე უბნის დახურვისა და ხმების შეჯამების პროცესში, დაფიქსირებული იქნა ერთეული პროცედურული ხასიათის დარღვევები, მათ შორის: საარჩევნო დოკუმენტაციის არასათანადოდ წარმოება - ბიულეტენების წინასწარი გამზადება, არასწორად მიწოდებული ბიულეტენები, მარკირების სითხის წინასწარი გამოყენება, საკონტროლო ფურცლის ხარვეზებით შევსება, არასათანადო დოკუმენტაციით ხმის მიცემა, ხარვეზები ამომრჩეველთა სიაში, საუბნო საარჩევნო კომისიების მხრიდან დამოწმებული ოქმების ვერ გაცემა და ა.შ.)

ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციით არჩევნების დღის პროცესმა მთელი ქვეყნის მასშტაბით გამონაკლის შემთხვევებში შექმნილ საარჩევნო უბნებზე ჩაიარა ორგანიზებულად და მშვიდ გარემოში. თუმცა, ფიქსირდება რიგი პრობლემები - პირადობის მოწმობების დროულად არ მიწოდება ამომრჩევლისათვის, რის შედეგადაც სასჯელაღსრულების დაწესებულებების ზოგიერთ უბანზე ძალიან დაბალი აქტივობა დაფიქსირდა. ასევე ადგილი ჰქონდა ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებულ პრობლემებს (მაგ. მოხუცებულთა პანსიონატი).

უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ადგილი ჰქონდა აგიტაციას და „ოჯახური“ ხმის მიცემის ფაქტებს საარჩევნო უბნებზე.

სამწუხაროდ, კვლავაც პრობლემატური იყო საარჩევნო კანდიდატებზე ზეწოლის ფაქტები. ორგანიზაციის მიერ გამოვლინდა ფიზიკური ძალადობისა და დაპირისპირების შემთხვევებიც, რომლებშიც აქტიურად იყვნენ ჩართულნი როგორც პოლიტიკური სუბიექტების წარმომადგენლები, ასევე მათი აქტივისტებიც. საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ რიგ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა მცდელობას, რომ პოლიტიკური პაექრობის პროცესს მისცემოდა ეთნოსთაშორისი დაპირისპირების ელფერი;

არანაკლებ პრობლემატური იყო საარჩევნო კანდიდატების მიერ თავიანთი კანდიდატურის საარჩევნო სიებიდან მოხსნის პრაქტიკა, რამაც განსაკუთრებულად მანკიერი და ქრონიკული ხასიათი შეიძინა.

პოზიტიური და მზარდი ტენდეციით გამოირჩეოდა საარჩევნო პროცესებში ქალთა მონაწილეობაც, რაც არამარტო ადგილობრივი, არამედ მომავალი არჩევნებისთვის დემოკრატიული პროცესების ხელისშემწყობი ჩარჩოს შექმნის პროცესს ემსახურება.

არჩევნების სამართლებრივი და ორგანიზაციული ასპექტები

სამართლებრივი ჩარჩო და კონტექსტი

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოების არჩევნები საქართველოს კონსტიტუციით, საარჩევნო კოდექსითა და კანონით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ რეგულირდება. საარჩევნო სამართლებრივი ჩარჩო ყოვლისმომცველია და დემოკრატიული არჩევნების ჩატარების მყარ იურიდიულ საფუძველს წარმოადგენს.

2013 წლის 26 დეკემბერს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის, დავით უსუფაშვილის ბრძანებით საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ინტერფრაქციული ჯგუფი შეიქმნა, რომლის ერთ-ერთი წევრიც სხვა არასამთავრობო თუ სახელისუფლებო შტოების წარმომადგენლებთან ერთად იყო „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“. ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნის უმთავრესი მიზეზი საარჩევნო კანონმდებლობაზე და მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე მუშაობა იყო. მსგავსი დანიშნულების ჯგუფი წინასაარჩევნო პერიოდში უკვე მეორედ შეიქმნა.

პოზიტიური სიახლეა, რომ თვითმმართველობის ახალმა სისტემამ შემოიღო ადგილობრივი აღმასრულებელი ხელისუფლების - გამგებლებისა და მერების პირდაპირი წესით არჩევა. მნიშვნელოვანია საარჩევნო ბარიერებთან დაკავშირებით მიღებული ცვლილებები - საარჩევნო ბარიერი პროპორციული წესით ასარჩევი სუბიექტებისათვის 5%-დან 4%-მდე დაწევა. 1–დან 12–მდე გაიზარდა ქალაქების რაოდენობა, სადაც მერები პირდაპირი წესით აირჩევიან. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მაჟორიტარული წესით ასარჩევი კანდიდატებისთვის საარჩევნო ბარიერის არ არსებობა დაბალი ლეგიტიმაციის მანიშნებელია და იძლევა იმის შანს, რომ არჩეული მაჟორიტარი დეპუტატი არ იყოს ადგილობრივ ამომრჩეველთა უმრავლესობის ნდობით აღჭურვილი.

აგრეთვე დადებითად ვაფასებთ საქართველოს პარლამენტის გადაწყვეტილებას მერის და გამგებლის არჩევნებისთვის 50%+1 ბარიერის შესახებ, რაც უზრუნველყოფს ადგილობრივი აღმასრულებელი ორგანოს ხელმძღვანელის არჩევას მოსახლეობის უმრავლესობის მიერ. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ცვლილებას გარკვეულწილად აუფერულებს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის შემდეგი ნორმა, რომლის მიხედვით საკრებულოს შეუძლია პირდაპირი წესით არჩეული თანამდებობის პირს უნდობლობა გამოუცხადოს და გადააყენოს.

აღსანიშნავია, 2014 წელს საქართველოს ორგანულ კანონში ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' განხორციელებული ცვლილებები, რომლის შესაბამისად, საარჩევნო სუბიექტების მიერ პოლიტიკური/წინასაარჩევნო რეკლამა ყველა მაუწყებლის ეთერში განთავსებული უნდა ყოფილიყო სურდოთარგმანის თანხლებით (ჟესტური ენა). აღნიშნული ცვლილებები დადებითად უნდა შეფასდეს, ვინაიდან წლების მანძილზე სმენადაქვეითებულ ამომრჩევლებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი ინფორმაცია სურდოთარგმანის თანხლებით.

ასევე უარყოფითად უნდა შეფასდეს, საარჩევნო კოდექსში შესული შემდეგი ცვლილება - საინიციატივო ჯგუფებს არ მიეცათ უფლება დაესახელებინათ მერობის/გამგებლობის

კანდიდატები, რის გამოც დამოუკიდებელმა კანდიდატებმა (მერობის ან გამგებლობის) ვერ მიიღეს მონაწილეობა არჩევნებში. აღნიშნული ცვლილებები ზღუდავს საქართველოს მოქალაქეების როგორც პასიურ, ასევე აქტიურ უფლებას - იყოს არჩეული, ან აირჩიოს მისთვის სასურველი კანდიდატი.

აღსანიშნავია, რომ საარჩევნო კოდექსში ბოლო ცვლილებები პარლამენტის მიერ მარტსა და აპრილში შევიდა, ზემოთხსენებული ცვლილებები არჩევნებამდე ძალიან ახლო პერიოდში განხორციელდა და სამომავლოდ უმნიშვნელოვანესია საკანონმდებლო ცვლილებები განხორციელებულ იქნას საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად არჩევნებამდე 6 თვით ადრე მაინც. სამწუხაროდ, საარჩევნო კანონმდებლობაში არჩევნებამდე ორი თვით ადრე შეტანილი ცვლილებები უკვე ტრადიციულ წინასაარჩევნო კომპონენტად იქცა.[1]

საარჩევნო სისტემა

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანო - საკრებულო, თვითმმართველი ქალაქის მერი და თვითმმართველი თემის გამგებლები აირჩეოდა პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, ამჯერად სრული 3 წლის ვადით[2].

ამომრჩეველი სარგებლობდა ერთი ხმის უფლებით პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე და ერთი ხმის უფლებით მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე.



[1] იგულისხმება - საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნები
[2] მუხლი 133. პუნქტი 1. მორიგი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები ჩატარდება ბოლო არჩევნების ჩატარებიდან სრული 3 წლის გასვლის შემდეგ, მე-4 წლის ოქტომბერში.

აქტიური და პასიური საარჩევნო უფლება. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს წევრად არჩევის უფლება ჰქონდა საქართველოს ნებისმიერი მოქალაქეს, რომელსაც კენჭისყრის დღისთვის უსრულდებოდა 21 წელი (ასაკობრივი ცენზი) და საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც (ბინადრობის ცენზი).

თვითმმართველი ქალაქის/თემის მერად/გამგებლად შეიძლება არჩეულიყო საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 25 წლის ასაკიდან, რომელსაც საქართველოში მუდმივად უცხოვრია სულ ცოტა 5 წლის განმავლობაში, მათ შორის, არჩევნების დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წელს მაინც.

აქტიური საარჩევნო უფლება აქვს საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელსაც არჩევნების დღემდე შეუსრულდა ან იმ დღეს უსრულდებოდა 18 წელი და რომლის რეგისტრაციის ადგილი მიეკუთვნებოდა შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის ადმინისტრაციულ საზღვრებს, გარდა იმ პირებისა, რომლებსაც საქართველოს კონსტიტუციით ან/და მის შესაბამისად საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ შეზღუდული აქვთ აქტიური საარჩევნო უფლება. ამასთანავე, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში არ მონაწილეობდნენ არჩევნების დანიშვნის დღისთვის საქართველოს საზღვრების გარეთ მუდმივად მცხოვრები ამომრჩევლები, აგრეთვე არჩევნების დღეს საქართველოს საზღვრების გარეთ დროებით მყოფი ამომრჩევლები (რაც გულისხმობს იმას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა არჩევნებისთვის სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნები არ იქმნება), ხოლო საქართველოს თავდაცვისა და შინაგან საქმეთა სამინისტროების სამხედრო (გასამხედროებული) ძალებისა და შენაერთების ვადიანი და საკონტრაქტო სამხედრო მოსამსახურეები ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობენ სამხედრო ნაწილის განლაგების ადგილის მიხედვით.

საარჩევნო ოლქები და საარჩევნო უბნები. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს არჩევნებისათვის ყოველი დამოუკიდებელი თვითმმართველი ერთეული წარმოადგენდა ერთ საარჩევნო ოლქს, რაც შეეხება ქალაქ თბილისს, თბილისის საკრებულოს პროპორციული წესით ჩასატარებელი არჩევნებისათვის, აქ შეიქმნა 10 საარჩევნო ოლქი (მთაწმინდის, ვაკის, საბურთალოს, კრწანისის, ისნის, სამგორის, ჩუღურეთის, დიდუბის, ნაძალადევის, გლდანის).

საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ჰქონდა: საარჩევნო რეგისტრაციის მქონე პარტიას; საარჩევნო ბლოკს; პარტიის/საარჩევნო ბლოკის/ამომრჩეველთა 5-კაციანი საინიციატივო ჯგუფის მიერ წარდგენილ კანდიდატს, რომელიც რეგისტრირებული იყო შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიაში. ამომრჩეველთა საინიციატივო ჯგუფის მიერ კანდიდატის წარდგენა დადასტურებული უნდა ყოფილიყო შესაბამისი ადგილობრივი საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მხარდამჭერ ამომრჩეველთა 1 პროცენტის (არანაკლებ 50 ამომრჩევლის) ხელმოწერებით.

საარჩევნო ადმინისტრაცია

საქართველოში 3 დონიანი საარჩევნო ადმინისტრაციაა, რომელიც შედგება ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიებისაგან.



ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისათვის შექმნილი იყო 73 საოლქო საარჩევნო კომისია და 3 637 (3617 ძირითადი და 20 გამონაკლის შემთხვევაში შექმნილი) საუბნო საარჩევნო კომისია.

სასჯელაღსრულების, შინაგან საქმეთა სამინისტროს, თავდაცვის სამინისტროსა და ხანდაზმულთა დაწესებულებებში დასაქმებული მოქალაქეების არჩევნებში მონაწილეობის უზრუნველსაყოფად 20 სპეციალური (გამონაკლისი შემთხვევა) საარჩევნო უბანი შეიქმნა.

დადებითად უნდა შეფასდეს, ის გარემოება რომ 2012 წლის საპარლამენტო და 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისგან განსხვავებით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე მნიშვნელოვნად შემცირდა გამონაკლის შემთხვევებში შექმნილი უბნების რაოდენობა.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის უმაღლესი ორგანოა - საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია (ცესკო). იგი უზრუნველყოფს არჩევნების, რეფერენდუმისა და პლებისციტის გამართვას, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე აკონტროლებს საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის შესრულებას და უზრუნველყოფს მის ერთგვაროვნად გამოყენებას, ახორციელებს საარჩევნო ადმინისტრაციის მთელი სისტემის საქმიანობის ორგანიზებასა და კონტროლს.

საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია დაკომპლექტების წესის მიხედვით შერეული ტიპისაა. ცენტრალური და საოლქო საარჩევნო კომისია მუდმივმოქმედი საარჩევნო ადმინისტრაციაა, ხოლო საუბნო საარჩევნო კომისია დროებითი. საარჩევნო პერიოდში სამივე დონის საარჩევნო კომისია 13 წევრისაგან შედგება, მათ შორის 6 წევრი პროფესიული ნიშნით საჯარო კონკურსის საფუძველზე ირჩევა, ხოლო 7 წევრი პარტიული ნიშნით ინიშნება, რომელთაც სახელმწიფო დაფინანსების მქონე პოლიტიკური პარტიები ასახელებენ.



საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი არ შეცვლილა. 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის საარჩევნო კომისიები, გარდა პროფესიული ნიშნით

არჩეული კომისიის წევრებისა, მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალის, კოალიცია „ქართული ოცნების“ მიერ დანიშნული 6 წევრისა და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დანიშნული 1 კომისიის წევრით დაკომპლექტდა, რაც არაერთხელ გახდა კრიტიკის საგანი.

საარჩევნო პერიოდში ცენტრალური, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიები სრული დატვირთვით მუშაობდნენ.

<u>ცენტრალური საარჩევნო კომისია</u> ეფექტურად, გამჭვირვალედ და დადგენილ ვადებში მუშაობდა (ხშირ შემთხვევაში ვადაზე ადრეც). საარჩევნო პროცესებში ყველა ჩართულმა მხარემ, საარჩევნო ადმინისტრაციას მაღალი ნდობა გამოუცხადა.

საარჩევნო ადმინისტრაცია მუდმივად ახდენდა დაინტერესებული თუ არჩევნებში მონაწილე მხარეების ინფორმირებას საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით. შესაბამისად იმართებოდა სხვადასხვა სახის შეხვედრები არასამთავრობო სექტორთან, მედიასა და პოლიტიკურ პარტიებთან, საერთაშორისო მისიებთან და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებთან, რომელსაც მუდმივად ესწრებოდა განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის წარმომადგენელი.

ცესკოს ოფიციალურ ვებ-გვერდზე ხდებოდა არჩევნებთან დაკავშირებული ყველა სახის ინფორმაციის განთავსება და განახლება.

აგრეთვე დადებითად უნდა შეფასდეს ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ორგანიზებული სხვადასხვა აქტივობები, რომლის მიზანი გახლდათ ეთნიკური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არჩევნებში ჩართულობის უზრუნველყოფა (ინფორმირება და გარკვეული უბნების ადაპტირება).

ცესკომ უზრუნველყო იმ საარჩევნო უბნებზე 13 პორტატული პანდუსის განთავსება, სადაც ეტლით მოსარგებლე ამომრჩევლების მიერ იყო მოთხოვნილი. დამზადდა გარკვეული რაოდენობის სპეციალური კაბინები. სმენადაქვეითებული ამომრჩევლებისთვის იდენტიფიცირებული საარჩევნო უბნებზე პორტატული კომპიუტერების გამოყენებით, გავრცელდა კენჭისყრაში მონაწილეობის შესახებ სპეციალური ვიდეორგოლი. უსინათლო ამომრჩევლებისთვის დამზადდა საარჩევნო ბიულეტენების შესავსები ჩარჩო/ფორმა. საქართველოში პირველად, მცირემხედველ ამომრჩევლებს, მიეცათ საშუალება, საარჩევნო უბანზე გამოეყენებინათ სპეციალური გამადიდებელი ხელსაწყო, ლინზის ფურცელი. ოლქების მიხედვით ადაპტირებულ იქნა 464 საარჩევნო უბანი.

თანაბარი საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფის მიზნით, საარჩევნო ადმინისტრაციამ ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული ადგილების მიხედვით 12 ოლქში 340 საარჩევნო უბანი შექმნა. საუბნო საარჩევნო კომისიებში ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ კომისიის წევრთა რაოდენობამ 2 446 შეადგინა, მათ შორის, 62% იყო სომეხი და 37% -აზერბაიჯანელი; ავარიელი, რუსი და ოსი წევრების რაოდენობამ ჯამში 1% შეადგინა.

ცესკომ პირველად 2014 წელს ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისთვის არსებული მონაცემების საფუძველზე, გენდერული სტატისტიკა წარმოადგინა.

თუმცა უნდა აღინიშნოს ცესკო-ს გადაწყვეტილებების არათანმიმდევრულობა კოდექსის 167-ე მუხლთან დაკავშირებით, აღნიშნული მუხლი ოპოზიციური პარტიების საწინააღმდეგოდ (იგულისხმება „ირაკლი ოქრუაშვილი - ქართული პარტიის” მიერ ქალაქ გორის საარჩევნო ოლქში წარდგენილი თვითმმართველი ქალაქ გორის მერობის კანდიდატი ირაკლი ოქრუაშვილი) ხოლო სახელისუფლებო პოლიტიკური გაერთიანებისათვის სასარგებლოდ განიმარტა (იგულისხმება ქ. რუსთავის N20 და ქ. ფოთის N70 ოლქების „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატები). ზემოთ აღნიშნული კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების წესი შესაცვლელია.

ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში, ოპოზიციური პარტიების მიერ წარდგენილი კანდიდატების მიერ კანდიდატურების მოხსნის არაერთი შემთხვევა დაფიქსირდა (განსაკუთრებული ქვემო ქართლის რეგიონში), რაც თავის მხრივ იწვევდა უკვე რეგისტრირებული პარტიული სიების გაუქმებას. დადებითად უნდა შეფასდეს ცესკოს 2014 წლის 3 ივნისს მიღებული დადგენილება - პარტიული სიის საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმებასთან დაკავშირებით. აღნიშნული დადგენილებით ცესკო-მ განსაზღვრა პარტიული საარჩევნო რეგისტრაციის გაუქმების საფუძვლები, (იმ შემთხვევაში თუ მასში კოდექსით დადგენილ მინიმუმზე ნაკლები რაოდენობის კანდიდატია.) ამ დადგენილებით, საფრთხე პოლიტიკური პარტიებისათვის აცილებულ იქნა.

<u>საოლქო საარჩევნო კომისია</u> - საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობას დადებითად შევაფასებდით. საარჩევნო ოლქები მომზადებულნი შეხვდნენ წინასაარჩევნო პერიოდის დაწყებას. გამომდინარე იქიდან, რომ საოლქო საარჩევნო კომისიები საარჩევნო პერიოდში გადადიან შერეულ დაკომპლექტების წესზე, 14 აპრილს საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების ვაკანტური ადგილების დასაკავებლად შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა. რის საფუძველზეც ცესკომ საოლქო საარჩევნო კომისიის დროებითი წევრები 17 აპრილს აირჩია. ამავდროულად უფლებამოსილმა პარტიებმა ცესკოს დადგენილ ვადაში წარუდგინეს (არჩევნებამდე არაუგვიანეს 55-ე დღისა) 73-ივე საოლქო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება.

საოლქო საარჩევნო კომისიის წევრებმა გაიარეს სპეციალური ტრენინგები (2014 წლის 7-14 მაისს), რომელიც განხორციელდა სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული რეგიონული ტრენერების მიერ.

თუმცა საოლქო საარჩევნო კომისიების მუშაობაში იყო გარკვეული ხარვეზები. გამომდინარე იქიდან, რომ საოლქო საარჩევნო კომისიას ცალსახად აქვს საგამოძიებო ფუნქცია, საარჩევნო დავების განხილვის პროცესში საფუძვლიანად არ იქნა შესწავლილი ცალკეული სადაო შემთხვევა და რიგ შემთხვევებში დაჩქარებული წესით იქნა გადაწყვეტილებები მიღებული.

<u>საუბნო საარჩევნო კომისია</u> - საუბნო საარჩევნო კომისია უფლებამოსილების ვადით დროებითა, ხოლო დაკომპლექტების წესის მიხედვით შერეული. შესაბამისად საოლქო საარჩევნო კომისიებმა არჩევნებამდე არა უგვიანეს 58-ე დღისა გამოაცხადეს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსი. კონკურსზე მოქალაქეთა აქტივობა საკმაოდ მაღალი იყო თბილისში, ვიდრე რეგიონებში.

საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა არჩევნებამდე ცესკოს თავმჯდომარემ ღია წერილით მიმართა საოლქო საარჩევნო კომისიებს და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა არჩევნებისას მაქსიმალური პასუხისმგებლობისა და პროფესიონალიზმის გამოჩენა სთხოვა.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა არჩევის პროცესმა გამჭვირვალედ ჩაიარა, თუმცა ცალკეულ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ იმ პირების არჩევას, რომლებიც 2012-2013 წლებში საარჩევნო სუბიექტების მიერ საარჩევნო უბნებზე იყვნენ დანიშნული.

უფლებამოსილმა პარტიებმა საოლქო საარჩევნო კომისიებს დადგენილ ვადაში წარუდგინეს (არჩევნებამდე არაუგვიანეს 46-ე დღისა) საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილება.

საუბნო საარჩევნო კომისიების პირველი სხდომა 15-16 მაისისთვის ჩატარდა, სადაც არჩეულ იქნა კომისიის ხელმძღვანელი პირები (თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და მდივანი).

საუბნო საარჩევნო კომისიებში ხელმძღვანელ თანამდებობაზე არჩეულ პირთა პროცენტული განაწილება დამნიშნავი სუბიექტების მიხედვით







საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ეგიდით, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა უზრუნველყო სასწავლო პროგრამის მომზადება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისთვის, რომელიც ჩატარდა 4 ეტაპად.

- ტრენინგის I ეტაპი (14-16 მაისი) - საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების ინსტრუქტაჟი, რომელიც ჩაატარეს რეგიონული ტრენერების მიერ მომზადებულმა საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა.
- ტრენინგის II ეტაპი (20-30 მაისი) - საუბნო საარჩევნო კომისიის სრული შემადგენლობის (13 წევრი) სწავლება, რომელიც ჩატარდა უშუალოდ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ მომზადებული114 ტრენერის მიერ.
- ტრენინგის III ეტაპი (1-7 ივნისი) - საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირების (თავმჯდომარე, მოადგილე, მდივნის) სწავლება, რომელიც განახორციელეს უშუალოდ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ მომზადებულმა ტრენერებმა.
- ტრენინგის IV ეტაპი (2-13 ივნისი) - კენჭისყრის დღის ეპიზოდური ინსცენირება, რომელიც ჩაატარეს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ მომზადებულმა ტრენერებმა და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა, საარჩევნო უბნების განთავსების ადგილებზე.

უნდა აღინიშნოს, რომ საოლქო საარჩევნო კომისიების წევრების მხრიდან მსგავსი ტრენინგების ჩატარება იყო სიახლე, რომელშიც ჩართული იყვნენ როგორც პროფესიული ისევე პარტიული ნიშნით არჩეული/დანიშნული კომისიის წევრები, რაც გარკვეულ კითხვის ნიშნებს ბადებს.

საუბნო საარჩევნო კომისიების მუშაობას მეტწილად კარგად შევაფასებდით. თუმცა აღსანიშნავია კომისიის წევრების (განსაკუთრებით კომისიის თავმჯდომარის და მდივნის) არაკომპეტენტურობა მთელ რიგ პროცედურულ საკითხებთან დაკავშრებით. რისი ერთ ერთი თვალსაჩინო მაგალითია საუბნო კენჭისყრის შემაჯამებელ ოქმებთან დაკავშირებით შესწორების ოქმებისა და ახსნა განმარტებების სიმრავლე.

ამის გამომწვევი ფაქტორებია - საუბნო საარჩევნო კომისიის წევრებისათვის განკუთვნილ ტრენინგებზე დაბალი დასწრება და მათი უმრავლესობის გამოუცდელობა. კომისიის წევრების არაკომპეტენტურობა აისახა შემდეგზე - საკონტროლო ფურცლის არასწორად/არასრულად შევსება; პროცედურების არათანმიმდევრულობა, რეგისტრატორების მიერ დაშვებული შეცდომები; სადემონსტრაციო ოქმების არასრულად შევსება, შემაჯამებელი ოქმის არასწორად შევსება, ბეჭდით არ დამოწმება, ჩასწორებული ოქმები და ა.შ.

ამომრჩეველთა სიები

ამომრჩეველთა სიების სიზუსტე, წლების განმავლობაში, საქართველოს მოქალაქეების მიერ ყველაზე ხშირად დასახელებული საარჩევნო პრობლემა იყო. ქართული საზოგადოება მუდმივად ეჭვქვეშ აყენებდა ამომრჩეველთა სიების სანდოობის საკითხს. პრობლემა უფრო აქტუალური საარჩევნო პერიოდში ხდებოდა.

ამომრჩეველთა ერთიანი სია წარმოადგენს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრირებულ, აქტიური საარჩევნო უფლების მქონე პირთა სიას.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 184[1] მუხლით განისაზღვრა 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს, მუნიციპალიტეტის გამგებლის, ქალაქ თბილისისა და სხვა თვითმმართველი ქალაქების მერების არჩევნებისათვის ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების წესი.

საარჩევნო კოდექსში უკანასკნელ პერიოდში შეტანილი ცვლილებების თანახმად, ამომრჩეველთა სიის ერთ-ერთი რეკვიზიტია ამომრჩევლის ფოტოსურათი, რის შედეგადაც, 15 ივნისის არჩევნებზე, საქართველოში პირველად შეიქმნა საარჩევნო უბნებზე ფოტოსურათიანი სიები. სიახლეს წარმოადგენდა აგრეთვე სიაში ახალი მონაცემი ამომრჩეველთა სქესი.

2013 წლის 25 ივლისს „საარჩევნო კოდექსში" განხორციელებული ცვლილებების მიხედვით სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და საქართველოს დედაქალაქის − თბილისის მერის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფორმირების მიზნით უნდა განეხორციელებინა ბიომეტრიული რეგისტრაცია, რომლის საფუძველზედაც მაღალი სიზუსტით დადგინდებოდა ამომრჩეველთა მონაცემები და რაოდენობა. თუმცა 2014 წლის გაზაფხულზე ორგანული კანონში შევიდა ცვლილება და ბიომეტრული რეგისტრაციის განხორციელების ნაცვლად, სერვისების განვითარების სააგენტოს დაევალა სააგენტოს ბაზასშივე არსებული მონაცემების შედარება და არსებული გაორების გასწორება.

სერვისების განვითარების სააგენტომ, ამომრჩეველთა სიებში გაორების აღმოსაფხვრელად განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებში სააგენტოს თანამშრომლებმა, სპეციალური ფოტო საძიებო სისტემით, 4 348 919 მონაცემი შეისწავლეს. შედეგად აღმოაჩინეს სავარაუდო გაორება 9595 დოკუმენტში, გადამოწმების შემდეგ გაორება დადასტურდა 3271 შემთხვევაში. ამასთან მოქალაქეების ნაწილმა, რომლებსაც ერთზე მეტი პირადობის დამადასტურებელი მოწმობა აღმოაჩნდათ, ისარგებლეს საქართველოს პარლამენტის მიერ გამოცხადებული ამნისტიით, რომელიც პირადი მონაცემების გაყალბებას ეხება და რომელიც 2014 წლის ბოლომდე მოქმედებს.[3]

საარჩევნო კოდექსში განხორციელებული ცვლილებების თანახმად, ამომრჩეველთა ერთიან სიაში არ შეიტანება იმ პირთა შესახებ მონაცემები, რომელთა სახელზე ბოლოს გაცემული პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი გაუქმდა გაყალბების ან ბათილად ცნობის გამო, ან რომელთაც არ აუღიათ მიმდინარე არჩევნების დროისთვის იურიდიული ძალის მქონე საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან საქართველოს მოქალაქის პასპორტი. 2014 წლის 25 მაისის მდგომარეობით საქართველოში ასეთი 60000-მდე მოქალაქე იყო აღრიცხული. ამ კატეგორიის მოქალაქეების საარჩევნო უფლების უზრუნველსაყოფად, იუსტიციის სამინისტროს ინიციატივით, მოქალაქეები პირადობის მოწმობის გაცემისათვის გათვალისწინებული საფასურის გადახდისგან გათავისუფლდნენ, თუ ისინი მიმართავდნენ სერვისების განვითარების სააგენტოს ასეთი მოთხოვნით 2014 წლის 01 ივნისამდე. აღნიშნული აქციით ისარგებლა 25918-მა მოქალაქემ, რომლებმაც პირადობის მოწმობა აიღეს და შესაბამისად მოხვდნენ საარჩევნო სიაში.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებისათვის კვლავ მაღალი მაჩვენებელია უმისამართოდ რეგისტრირებული და რეგისტრაციიდან მოხსნილი ამომრჩევლების. ბოლო მონაცემებით, ამომრჩეველთა ერთიან სიაში უმისამართოდ რეგისტრირებული იყო 41 259, ხოლო რეგისტრაციიდან მოხსნილი იყო 101 165. თუმცა აქვე დადებითად უნდა შეფასდეს სერვისების განვითარების სააგენტოს შეთავაზება - აღნიშნულ მოქალაქეებს უნდა მიემართათ სერვისების განვითარების სააგენტოსათვის და უნდა გაევლოთ რეგისტრაცია საცხოვრებელი მისამართის მიხედვით, ამასთან იუსტიციის მინისტრის ბრძანებით ისინი თავისუფლდებოდნენ პირადობის მოწმობის და ფოტოსურათის

[3] http://justice.gov.ge/News/Detail?newsId=4556

საფასურის გადახდისაგან. აღნიშნული შეთავაზებით ისარგებლა 12 048-მა მოქალაქემ, მათ შორის 3 353-მა მანამდე უმისამართოდ რეგისტრირებულმა, 7 757-მა მანამდე რეგისტრაციიდან მოხსნილმა პირმა და 875-მა პირმა, რომელთაც ფოტოსურათთან დაკავშირებული პრობლემა ჰქონდათ.[4]

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და საქართველოს დედაქალაქის – თბილისის მერის არჩევნებისათვის ამომრჩეველთა საბოლოო სიაში დაფიქსირდა 3 429 748 ამომრჩეველი. ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ უზრუნველყო ამომრჩეველთა ფოტოსურათებიანი ერთიანი და სპეციალური სიების სამაგიდო და კედლის ვარიანტების არჩევნების დღისათვის მომზადება. ეროვნული უმცირესობებისათვის შესაბამისი ოლქებისა და უბნებისათვის მომზადდა ამომრჩეველთა ორენოვანი სიები ქართულ-აზერბაიჯანულ და ქართულ-სომხურ ენებზე. ოთხ უბანზე მომზადდა სამენოვანი - ქართულ-აზერბაიჯანულ- სომხური სიები.



ამომრჩეველთა ერთიანი სიის ფოტოსურათებიანი ვერსია (ელექტრონული) განთავსდა ცესკოს ვებ-გვერდზე (voters.cec.gov.ge), სადაც ნებისმიერ ამომრჩეველს ჰქონდა საშუალება გადაემოწმებინა, როგორც ინფორმაცია საკუთარი თავისა და ოჯახის წევრების შესახებ, ასევე დარწმუნებულიყო სურათების სიზუსტეშიც.

საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტის 2014 წლის აგვისტოს კვლევის მიხედვით მოსახლეობის 94% მიიჩნევს რომ 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებზე, საარჩევნო სიები პრობლემას არ წარმოადგენდა.[5]

ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებით 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს – საკრებულოს და საქართველოს დედაქალაქის – თბილისის მერის არჩევნებისათვის (I-II ტური) საარჩევნო ადმინისტრაციაში შევიდა სულ 4 განცხადება/საჩივარი, რომელთაგან არცერთი არ დაკმაყოფილდა (უსაფუძვლობის გამო).

<u>რეკომენდაცია სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს:</u> გაგრძელდეს მუშაობა პრობლემურ მისამართებსა და რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებთან დაკავშირებით. საქართველოში რეგისტრაციის მისამართის შეცვლის მარტივი და ხელმისაწვდომი პროცედურის ამოქმედებით საქართველოს ბევრი მოქალაქე შეძლებს ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართისა და იურიდიული მისამართის შესაბამისობაში მოყვანას.

[4] http://justice.gov.ge/News/Detail?newsId=4567

[5] საზოგადოებრივი აზრის კვლევა, საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ დემოკრატიული ინსტიტუტი, 2014 წლის აგვისტო, https://www.ndi.org/georgia-polls

წინასაარჩევნო გარემო

პოლიტიკური ფონი

ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ წინასაარჩევნო პერიოდში (2014 წლის 26 მარტიდან 18 აპრილამდე) ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით ხელისუფლებაში მყოფი „ქართული ოცნების“ რეიტინგი 25%-შეადგენდა, რაც ორჯერ ნაკლები იყო 2013 წლის ნოემბერში განხორციელებული კვლევის რეიტინგებთან შედარებით (50%). გამოკითხულთა უმეტესობა ყველაზე ძლიერ ოპოზიციურ პარტიად "ერთიან ნაციონალურ მოძრაობას" მიიჩნევდა. პარტიას 51%-იანი რეიტინგი ჰქონდა. გამოკითხულთა 21%-კი არცერთ ოპოზიციურ პარტიას არ ანიჭებდა უპირატესობას. თბილისის მერად გამოკითხულთა 39%-მა ისურვა „ქართული ოცნების“ მერობის კანდიდატი დავით ნარმანია, 10% "ერთიან ნაციონალურ მოძრაობის" კანდიდატს ნიკანორ მელიას უჭერდა მხარს, 9%-კი "ნინო ბურჯანაძე - ერთიანი ოპოზიციის" კანდიდატს.

არასამთავრობო სექტორი აქტიურად იყო ჩართული წინასაარჩევნოდ მთელი რიგი საკითხების რეფორმირების პროცესებში და მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებაზე იყო ორიენტირებული, თუმცა საარჩევნო კანონმდებლობის რეფორმის პროცესში სრულად არ იქნა გათვალისწინებული მათ მიერ შემუშავებული რეკომენდაციები.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების მოახლოებასთან ერთად შედარებით გახშირდა იმ ადამიანების საგამოძიებო სტრუქტურებში დაკითხვებზე დაბარება, რომლებიც აქტიურ პარტიულ საქმიანობას ეწეოდნენ.

იუსტიციის მინისტრის 2014 წლის 3 აპრილის ბრძანებით, 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნების დროს საჯარო მოსამსახურეების მიერ საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის პრევენციისა და დარღვევებზე რეაგირების მიზნით, უწყებათაშორისი საქმიანობის კოორდინაციისა და შესაბამისი წინადადებების შემუშავების უზრუნველსაყოფად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროსთან შეიქმნა თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორისი კომისია. კომისიამ პროკურატურას მოუწოდა საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში, კენჭისყრის დღემდე თავი შეეკავებინა იმ პირთა დაკითხვისგან, რომლებიც 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა წინასაარჩევნო კამპანიაში უშუალოდ იყვნენ ჩართულნი, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახეზე იყო გადაუდებელი აუცილებლობა ან იქმნებოდა საპროცესო ვადის დარღვევის საფრთხე.

წინასაარჩევნო პერიოდში, გამოიკვეთა კანდიდატებზე სავარაუდო ზეწოლისა და აღნიშნული ზეწოლის შედეგად კანდიდატურების მოხსნის არაერთი ფაქტი. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სხვადასხვა ოპოზიციური პარტიის/საარჩევნო ბლოკის კანდიდატები არჩევნებში მონაწილეობაზე უარს, სავარაუდოდ, ზეწოლის შედეგად ამბობდნენ და საკუთარ კანდიდატურებს რეგისტრაციიდან ხსნიდნენ. დაზარალებულები, ძირითადად, არ აკონკრეტებდნენ, თუ ვინ ახდენდა მათზე ზეწოლას. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საფუძვლიანი გამოძიების გარეშე, უარყო საარჩევნო კანდიდატებზე ზეწოლის ფაქტები და მასში პოლიციელთა შესაძლო მონაწილეობა. ამ ფონზე, ძალადობის, ზეწოლის უპირობო დაგმობისა და ეფექტური გამოძიების ჩატარების აუცილებლობაზე ხაზგასმის ნაცვლად, არამართებული იყო საქართველოს პრემიერ მინისტრის განცხადება, რომ „ქართული ოცნება“ არც ერთ რეგიონსა და ქალაქში არ დაუშვებდა სხვა პოლიტიკური ძალის გამარჯვებას.

2014 წლის 14 აპრილს საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით, საარჩევნო კამპანიაში ჩართულ პირთა მიმართ სამართლებრივი პროცედურების განხორციელებაზე მორატორიუმი გამოაცხადა, რათა, მისი განცხადებით, ყველა პარტიას სრულფასოვანი კამპანიის წარმოების შესაძლებლობა მისცემოდა.

მთავარი პროკურორის გიორგი ბადაშვილის განცხადებით, პრემიერ მინისტრის გადაწყვეტილება წინასაარჩევნო მორატორიუმის გამოცხადებასთან დაკავშირებით, პროკურატურის მხრიდან აუცილებლად შესრულდებოდა. თუმცა მიუხედავად გამოცხადებული მორატორიუმისა, წინასაარჩევნო პერიოდში მოხდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელის - გიგი უგულავას დაკავება, მაშინ, როცა 2 დღით ადრე, სასამართლომ საჭიროდ არ ჩათვალა მისთვის გადაადგილების უფლება შეეზღუდა. ეს ფაქტი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მიერ ოპონენტებზე პოლიტიკურ ზეწოლად იქნა აღქმული.

აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით სამოქალაქო სექტორმა ინფორმაცია მიაწოდა საქართველოს პრეზიდენტს. საქართველოს პრეზიდენტმა პროკურატურას საარჩევნო კანდიდატთა მოხსნის ფაქტების დროულად გამოძიებისკენ მოუწოდა და აღნიშნა, რომ ეს აუცილებელია არჩევნების სამართლიანად და დემოკრატიულად ჩასატარებლად.

„ბოლო დროს კანდიდატურების მოხსნის რამდენიმე შემთხვევა იყო. ამიტომ, მინდა მოვუწოდო პროკურატურას, დროულად გამოიძიოს ეს შემთხვევები, რადგან ეს არ არის უბრალოდ, შესაძლო სამართალდარღვევები. ეს არის ჩვენი ქვეყნის პოლიტიკისთვის მდგრადობისა და სუვერენობისთვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზულ საარჩევნო პროცესში დასმული კითხვები“- განაცხადა პრეზიდენტმა.

არჩევნებში ჩართული მხარეები

საარჩევნო სუბიექტები

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ცესკოში წარდგენილ იქნა 34 პოლიტიკური გაერთიანების (მათ შორის 15 იყო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე საარჩევნო სუბიექტი) და 1 საარჩევნო ბლოკის განცხადება. ცესკომ რეგისტრაციაში გაატარა 1 საარჩევნო ბლოკი და 26 პოლიტიკური გაერთიანება (6 სუბიექტი გაერთიანდა 3 ბლოკად). ხოლო 8 საარჩევნო სუბიექტს უარი ეთქვათ/გაუუქმდათ რეგისტრაცია (პირადი განცხადებისა და მხარდამჭერთა სიების არ ან არასრულად წარდგენის გამო).

საქართველოს დედაქალაქის - თბილისის საკრებულოს არჩევნებისათვის პარტიული სიები და საკრებულოს წევრობის კანდიდატთა სააღრიცხვო ბარათები ცესკოში წარადგინა 19-მა საარჩევნო სუბიექტმა (მათ შორის 4 საარჩევნო ბლოკი და 15 პოლიტიკური პარტია).

თბილისის მერის არჩევნებისათვის კანდიდატების წარდგენის მიზნით ცესკოში განცხადება წარადგინა და დარეგისტრირდა 14 საარჩევნო სუბიექტი (მათ შორის 4 საარჩევნო ბლოკი და 10 პოლიტიკური პარტია).

საქართველოს დანარჩენ თვითმმართველ ქალაქებში მერის არჩევნებისათვის კანდიდატების წარდგენის მიზნით შესაბამის ოლქებში განცხადება წარადგინა და დარეგისტრირდა 18 საარჩევნო სუბიექტი (მათ შორის 4 საარჩევნო ბლოკი და 14 პოლიტიკური პარტია).

საარჩევნო სუბიექტი, რომელსაც 12-ივე თვითმმართველ ქალაქში ჰყავდა მერობის კანდიდატი იყო ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” და ბლოკი "ქართული ოცნება"

რიგითი N	საარჩევნო სუბიექტი	თბილისი	რუსთავი	ბათუმი	თელავი	მცხეთა	გორი	ამბროლაური	ქუთაისი	ოზურგეთი	ზუგდიდი	ფოთი	ბაღდათი
1	ბლოკი "არასაპარლამენტო ოპოზიცია (კახა კუკავა ფიქრია ჩიხრაძე)"	*	*	_მოიხსნა	*		*		*	*	*	_მოიხსნა	*
2	"საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა"					*							
3	"წიწო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია "	*	*	*	*	*	*		*	*	*	*	*
5	ბლოკი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*
6	"გიორგი გაჩეჩილაძე – მწვანეთა პარტია"	*			*	*							
7	"უფლის სახელით – უფალია ჩვენი სიმართლე"	*	*										
8	"დავით თარხან-მოურავი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი"	*	*		*	*			*	*		*	*
9	ბლოკი "თვითმმართველობა ხალხს!"	*							*	*			*
10	"ხალხის პარტია"												*
11	"ირაკლი ღლონტი – რეფორმატორები"	*											*
12	"ჩვენი საქართველო"		*										
13	"მომავალი საქართველო"	*											
14	"ირაკლი ოქრუაშვილი – ქართული პარტია"						*						
16	პ/გ „ქრისტიან დემოკრატიული პარტია (ქრისტიან დემოკრატები)”											_მოიხსნა	
17	ერთიანობის დარბაზი						*						*
18	"სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზა "	*	*	*						*			*
20	"შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია"	*	*		*				*	*			*
26	"სახალხო პარტია"					*							
30	"მერაბ კოსტავას საზოგადოება”	*											
36	"საქართველოს მშრომელთა საბჭო "	*					*						
41	ბლოკი "ქართული ოცნება"	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*	*
		14	**9**	**4**	**7**	**7**	**7**	**2**	**7**	**8**	**4**	**4**	**11**

<u>საარჩევნო სუბიექტების დაფინანსება</u>

არჩევნებისათვის საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლების რაოდენობამ შეადგინა: ცესკოში - 34 წარმომადგენელი, საოლქო საარჩევნო კომისიებში - 1354 წარმომადგენელი, რომელთაც საქართველოს ორგანული კანონის ”საქართველოს საარჩევნო კოდექსის” 43-ე მუხლის შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების ხარჯთაღრიცხვის შესახებ ცესკოს 2014 წლის 5 თებერვლის №1/2014 დადგენილების საფუძველზე, გამოეყოთ დაფინანსება 5 473 300 ლარი. აგრეთვე პოლიტიკური გაერთიანებების მიერ ცესკოში წარდგენილი წერილების საფუძველზე დაფინანსდა რვა პოლიტიკური გაერთიანება.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ინფორმაციით, არჩევნების დროს საარჩევნო სუბიექტების მიერ, ჯამურად, გაწეული იყო 11 860 771,00 ლარის ხარჯი. შემოწირულების სახით კი, მიღებულ იქნა ჯამში 6 578 822,00 ლარი. მათ შორის, ყველაზე მეტი შემოწირულობა და ყველაზე მეტი ხარჯი საარჩევნო ბლოკ „ქართულ ოცნებას“ დაუფიქსირდა.



უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების 2014 წლის არჩევნებთან დაკავშირებით სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა საარჩევნო კამპანიის ხარჯებისა და შემოსავლების ანალიზი.[6]

წინასაარჩევნო კამპანია

რეგისტრირებულ პოლიტიკურ პარტიებსა და მერობის კანდიდატებს შესაძლებლობა ჰქონდათ, საარჩევნო პროგრამებზე ორიენტირებული კამპანია ეწარმოებინათ, მათ შორის არჩევნების დღესაც. თუმცა საარჩევნო კალენდარმა ახალ პარტიებსა და დამოუკიდებელ კანდიდატებს გარკვეული პრობლემები შეუქმნათ. 60–დღიანი საარჩევნო კამპანიის მნიშვნელოვანი ნაწილი მათ კანდიდატების რეგისტრაციის პროცესს მოანდომეს და ამომრჩევლებთან ურთიერთობის დაწყება მხოლოდ რეგისტრაციის პროცედურების დასრულების შემდეგ შეძლეს. რაც ჩვენი ორგანიზაციის აზრით ახალ პარტიებსა და დამოუკიდებელ კანდიდატებს დამკვიდრებულ პარტიებთან შედარებით არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს.

არჩევნების გამოცხადებიდან რამდენიმე პოლიტიკური პარტია აქტიურად წარმართავდა საარჩევნო კამპანიას, გაიხსნა საარჩევნო შტაბები და დაიწყო ამომრჩეველთან შეხვედრების ორგანიზება, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში. მოსახლეობასთან შეხვედრები იმართებოდა როგორც ღია ცის ქვეშ, ასევე დახურული ტიპის დარბაზებში. შეხვედრებზე კანდიდატების მიერ ძირითადად აქცენტი კეთდებოდა მოქალაქეთა ცხოვრების დონის ამაღლებაზე, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და დასაქმების პრობლემის მოგვარებაზე.

პოლიტიკური პარტიების საარჩევნო კამპანიის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, ”მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ” საქართველოს ორგანული კანონის 30-ე მუხლის მე-12 პუნქტის შესაბამისად, სატელევიზიო რეკლამის განთავსების ხარჯების დასაფარად პოლიტიკური პარტიებისთვის განსაზღვრული იყო 1 200 000 ლარი, კერძოდ: საარჩევნო ბლოკი ”ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”- 600 000 ლარი; საარჩევნო ბლოკი ”ერთიანი ნაციონალური მოძრაობა”- 600 000 ლარი.

ზემოაღნიშნული პარტიებისთვის, მათი მოთხოვნის შესაბამისად, სატელევიზიო რეკლამის განსათავსებლად გადარიცხულ იქნა სულ 1 197 481 ლარი, მათ შორის: საარჩევნო ბლოკი ”ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო”– 597 481.70 ლარი; საარჩევნო ბლოკი ”ერთიანი ნაციონალური მოძრაობა” - 599 999. 58 ლარი.

სადამკვირვებლო სპექტრი

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების მონიტორინგის მიზნით ცესკოში დადგენილი წესით რეგისტრაცია გაიარა 59 ადგილობრივმა სადამკვირვებლო ორგანიზაციის 15,990 დამკვირვებელმა, 32 საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციის 561 დამკვირვებელმა.

15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნების მონიტორინგი 13 ქვეყნის საარჩევნო ადმინისტრაციის 30-მა წარმომადგენელმა განახორციელა.

[6] http://sao.ge/files/finansuri%20monitoringi/2014_archevnebi/2014-clis-archevnebis-angarishi.pdf.pdf

სადამკვირვებლო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ჰქონდათ მაქსიმალური ხელშეწყობა და სრული თავისუფლება, რათა განეხორციელებინათ მონიტორინგი არჩევნების მიმდინარეობაზე.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის სადამკვირვებლო მისია ითვალისწინებდა არჩევნებში მონაწილე მხარეებთან ერთად საარჩევნო პროცესების ერთობლივი მონიტორინგის გარკვეულ ელემენტებს, რის თაობაზეც თანამშრომლობისა და ინფორმაციის გაცვლის მიზნით იმართებოდა შეხვედრები, როგორც საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, აგრეთვე ადგილობრივი, საერთაშორისო, პოლიტიკური ორგანიზაციების წარმომადგენლებთან და საარჩევნო ექსპერტებთან.

შეხვედრები საარჩევნო პროცესებში მონაწილე მხარეებთან

13 ივნისი - განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრში გაიმართა შეხვედრა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეგისტრირებული ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციების სადამკვირვებლო მისიის ხელმძღვანელებთან. შეხვედრის მიზანი იყო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებზე ეფექტური სადამკვირვებლო მისიის განხორციელება.

4 ივნისი - საარჩევნო თემატიკაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების შეხვედრა საქართველოს პრეზიდენტთან. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა შეხვედრისას საარჩევნო გარემო განიხილეს და პრეზიდენტს წინასაარჩევნო პერიოდში არსებული ვითარების შესახებ მიაწოდეს ინფორმაცია.

21 მაისი - ცესკოს ხელმძღვანელობის, პოლიტიკური პარტიების წამომადგენლებისა და არასამთავრობო სექტორის სამუშაო შეხვედრა. შეხვედრა გაიმართა საერთაშორისო რესპუბლიკური ინტიტუტის (IRI) მხარდაჭერით.

14 მაისი, სასტუმრო ”ჰოლიდეი ინი”. ცესკოს, არასამთავრობო სექტორისა და მედიის წარმომადგენლების სამუშაო შეხვედრა. შეხვედრა გაიმართა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) მხარდაჭერით.

25 – 27 აპრილი, საკოორდინაციო – საორგანიზაციო შეხვედრა Confidence Building Early Response Mechanism (COBERM) – a joint EU/UNDP initiative მხარდაჭერით. სამომავლო ერთობლივი ღონისძიების დაგეგმვა და ტრენინგების თემატიკის განსაზღვრა, შეხვედრაში ასევე მონაწილეობდნენ მოწვეული ექსპერტები ლიტვიდან და ესტონეთიდან.

3 აპრილი, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტი“ - სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებსა და აშშ-ის მთავრობის დელეგაციის სამუშაო შეხვედრა. დელეგაციას სახელმწიფო მდივნის თანაშემწე დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის საკითხებში თომას მელია და შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადმინისტრატორის მოადგილე პეიჯ ალექსანდერი ხელმძღვანელობენ.

10 მარტი, სასტუმრო "რედისონი" - მრგვალი მაგიდა „ქალთა მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში“. ორგანიზატორები: "ნიდერლანდების ინსტიტუტის მრავალპარტიული დემოკრატიისათვის" (NIMD), "საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი" (IFES) და ევროპის დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი (OSCE/ODIHR).

4 მარტი, სასტუმრო "ქორთიარდ მერიოტი" - შეხვედრა გაფართოებისა და სამეზობლო პოლიტიკის საკითხებში ევროკომისარ – ბატონ შტეფან ფულესა და ეროვნული პლატფორმის წევრ არასამთავრობო ორგანიზაციებთან.

ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

2014 წლის 5 მაისს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას, 7 ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციასა და თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას შორის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების შესახებ ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმს ასევე შეუერთდა 7 არასამთავრობო ორგანიზაცია. მათ შორის „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი“.

დოკუმენტზე ხელმომწერი მხარეები, საარჩევნო კოდექსში კონკრეტული მუხლების (მე-2, 45-ე, 48-ე, 49-ე მუხლები) ერთგვაროვან განმარტებაზე შეთანხმდნენ და აღნიშნეს, რომ წინასაარჩევნო აგიტაციასთან მიმართებაში, ასევე ადმინისტრაციული და სასამართლო წარმოების დროს სწორედ მემორანდუმში მითითებული განმარტებებით იხელმძღვანელებდნენ.

აღსანიშნავია, რომ ურთიერთთანამშრომლობის ამგვარი დოკუმენტი, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან მიმართებაში გაფორმდა ასევე 2008, 2010, 2012 და 2013 წლების წინასაარჩევნო პერიოდშიც.

მედია გარემო

როგორც ავღნიშნეთ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები განსაკუთრებული იყო თავისი მასშტაბითა და საარჩევნო სუბიექტების სიმრავლით, რაც გარკვეულ გამოწვევას წარმოადგენდა მედია საშუალებებისათვის, რომელთა ამოცანაც ამომრჩევლისთვის საკმარისი ინფორმაციის მიწოდება იყო ინფორმირებული არჩევანის გასაკეთებლად.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების მონიტორინგის მიზნით ცესკოში დადგენილი წესით რეგისტრაცია გაიარა 75 მედია ორგანიზაციის (10 უცხოური და 65 ადგილობრივი მედია საშუალებები) 1 059 წარმომადგენელმა. მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მედიის წარმომადგენლებს უფლება აქვთ თავისუფლად და დაუბრკოლებლად დააკვირდნენ საარჩევნო პროცესის მიმდინარეობას - გააშუქონ კენჭისყრის დღე, კენჭისყრის დღემდე პერიოდი და კენჭისყრის დღის შემდგომი პერიოდი.



არჩევნების მთელ პერიოდში, მედიას საშუალება ჰქონდა თავისუფლად და შეზღუდვების გარეშე გაევრცელებინა ნებისმიერი ინფორმაცია. ძირითადი სატელევიზიო არხების საღამოს მთავარ საინფორმაციო გამოშვებებში აქცენტი თბილისის კანდიდატებზე კეთდებოდა. ამ მხრივ გამონაკლისი იყო აჭარის ტელევიზია, სადაც მეტი ყურადღება ეთმობოდა ბათუმის მერობის კანდიდატებს. საინფორმაციო გამოშვებებში აქტიურად შუქდებოდა პოლიტიკოსებისა და კანდიდატების წინასაარჩევნო კამპანია, შეხვედრები მოსახლეობასთან, განცხადებები, დაპირებები. რამდენიმე არხზე საინფორმაციო გამოშვებებში კეთდებოდა ჩართვები ან სტუდიაში ჰყავდათ მიწვეული კანდიდატები. ძირითადი კანდიდატების შემთხვევაში დათმობილი დროის თვალსაზრისით დაცული იყო ბალანსი. წინასაარჩევნო პერიოდში საინფორმაციო გამოშვებებში კანდიდატებს თანაბარი საშუალება ჰქონდათ, მაყურებლისთვის მიეწვდინათ ხმა. მით უმეტეს, რომ საინფორმაციო გამოშვებების გარდა, საკმაოდ მრავალფეროვანი იყო პოლიტიკური თოქშოუების სპექტრი და ეთერში გადიოდა დებატების ფორმატის რამდენიმე გადაცემა.

2014 წლის 15 ივნისის არჩევნები, გასული წლის (2013, 2014) არჩევნებთან შედარებით პოლიტიკური თოქ-შოუების სიმრავლით გამოირჩეოდა. გადაცემებში აქტიურად მონაწილეობდნენ მთავრობისა და პოლიტიკური პარტიების, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები, ექსპერტები და მაყურებლები მეტად ინფორმირებულნი იყვნენ როგორც საარჩევნო პროცესების, ისე ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შესახებ. წინა წლებთან შედარებით, 2014 წელს პოლიტიკური თოქ-შოუებიდან მაყურებელს ბევრად მეტი ინფორმაცია მიეწოდებოდა არჩევნების პროცესსა და მასში მონაწილე სუბიექტებზე. განსაკუთრებით აქტიურად განიხილებოდნენ თბილისის მერობისა და მაჟორიტარობის კანდიდატები.

მოვლენები აგრეთვე შუქდებოდა რადიომაუწყებლების (8 ორგანიზაცია) მიერ. არასაპარლამენტო ოპოზიციური პარტიების გაშუქებას უფრო მეტი დრო ეთმობოდა ვიდრე კონკრეტულ კანდიდატებს. არჩევნების დღეს რადიომაუწყებლებმა შედარებით აქტიურად იმუშავეს. ისინი საარჩევნო უბნებზე არსებულ მდგომარეობას და გამოვლენილ დარღვევებს ოპერატიულად აშუქებდნენ. ამასთან, დიდი დრო ეთმობოდა არასამთავრობო სექტორისა და ცესკოს განცხადებების წარმოჩენასაც. ჟურნალისტები არც ერთი პოლიტიკური ძალის მიმართ სუბიექტურ დამოკიდებულებას არ ამჟღავნებდნენ.

ბეჭდური მედია (15 ორგანიზაცია) აქტიურად იყო ჩართული საარჩევნო პროცესების მიმოხილვაში. ისინი ობიექტურად და მიუკერძოებლად აშუქებდნენ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს. მეტი აქტიურობით გამოირჩეოდნენ „რეზონანსი“, „ახალი თაობა“, „ასავალ-დასავალი“, „ალია“, „ვერსია“, „კვირის ქრონიკა“ და „კვირის პალიტრა“. დაფიქსირდა ჟურნალისტების მხრიდან დაუსაბუთებელი მსჯელობის, არაეთიკური გამონათქვამების, დაუზუსტებელი ფაქტებისა და ნაკლებად სანდო წყაროების მიერ მიწოდებული ინფორმაციის გამოქვეყნების შემთხვევები („ალია“ ; „ასავალ დასავალი“; „კვირის ქრონიკა“). ქართულ ბეჭდურ მედიაში შეიმჩნეოდა ჟურნალისტური სტანდარტებისა და ეთიკის ნორმების ხშირი დარღვევები. მოვლენები აგრეთვე შუქდებოდა 2 უცხოურ ბეჭდურ მედია საშუალებებში.

ქართულმა ონლაინ მედიამ (24 ორგანიზაცია) საკმაოდ ობიექტურად და მიუკერძოებლად გააშუქა როგორც მერობის კანდიდატთა, ასევე სხვადასხვა პოლიტიკური პარტიისა და სახელისუფლებო სტრუქტურების საქმიანობა. არც ერთ ვებგვერდზე არ შეიმჩნეოდა მკვეთრად დადებითი ან უარყოფითი განწყობა რომელიმე პოლიტიკური ძალის მიმართ. ჟურნალისტური ეთიკის ნორმების უხეში დარღვევის შემთხვევები ნაკლებად იყო. მოვლენები აგრეთვე შუქდებოდა 3 უცხოურ ონლაინ მედია საშუალებებში.

წინასაარჩევნო პერიოდში დაფიქსირდა სახელმწიფო სტრუქტურებისა და მათი წარმომადგენლების მხრიდან ჟურნალისტებზე ზეწოლის ან მათი პროფესიული საქმიანობისათვის ხელის შეშლის, აგრეთვე ტელეკომპანიაზე მუქარის ერთეული ფაქტები, კერძოდ:

27 მაისს, ზუგდიდში საარჩევნო ბლოკის „ქართული ოცნება“ გამგებლობის კანდიდატმა ედიშერ თოლორაიამ სოფელ რუხში მოსახლეობასთან გამართულ შეხვედრაზე ააიპ „ახალი მედიის ასოციაციის“ ჟურნალისტს მერაბ როდონაიას არ მისცა საშუალება ეწარმოებინა აქციის ვიდეო გადაღება.

10-11 მაისს, ხელისუფლებისა და პარლამენტის წევრების მხრიდან ადგილი ჰქონდა მუქარის შემცველ განცხადებებს რუსთავი 2–ის წინააღმდეგ სამართლებრივი მოქმედების დაწყების შესახებ, რასაც წინ უძღოდა 10 მაისს რუსთავი 2-ის ეთერში გადაცემული ხელისუფლების ლიდერებს, ოპოზიციაში მყოფ პოლიტიკოსებსა და ბიზნესის წარმომადგენლებს შორის ფარულად ჩაწერილი სატელეფონო საუბრები.

20 მაისს ადგილი ჰქონდა ტელეკომპანია მაესტროს სარედაქციო პოლიტიკაში ჩარევის მცდელობას, კერძოდ მთავრობამ ტელეკომპანია მაესტროს ჟურნალისტი ვახო სანაია მიკერძოებულობაში დაადანაშაულა, რადგან მან ინტერვიუ ჩამოართა პირებს, რომლებმაც მთავრობის მიმართ კრიტიკული მოსაზრებები დააფიქსირეს.

სიძულვილის ენისა და არაეთიკური ლექსიკის გამოყენების შემთხვევები ჟურნალისტების მხრიდან ძირითადად არ დაფიქსირებულა. გამონაკლისი იყო „სტუდია სპექტრის“ წამყვანი დავით აქუბარდია, რომელიც არ ერიდებოდა სალანძღავი სიტყვებისა და სიძულვილის ენის გამოყენებას.

წინასაარჩევნო საინფორმაციო კამპანია

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისთვის ცესკოს მიერ საინფორმაციო კამპანია წარიმართა საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდთან (IFES) თანამშრომლობით მომზადებული კომუნიკაციების სტრატეგიის შესაბამისად.

არჩევნებისათვის სპეციალურად დამზადებული იქნა:

- *10 სატელევიზიო და რადიო რეკლამა* სხვადასხვა საარჩევნო თემატიკაზე, რომელიც ცენტრალურ და რეგიონულ სატელევიზიო და რადიო ეთერში გავიდა. პოზიტიურად უნდა შეფასდეს ის გარემოება, რომ თითოეული სატელევიზიო რეკლამა მომზადდა სურდო თარგმანის თანხლებით და გავრცელდა, როგორც ქართულ ასევე ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებული რეგიონების ტელევიზიაში, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე.
- *საინფორმაციო/საიმიჯო რეკლამა,* რომელიც განთავსდა ცენტრალურ გაზეთებში: „ვერსია“, „რეზონანსი“,„ახალი თაობა“, „კვირის პალიტრა“ , „პრაიმ ტაიმი“ და 20-მდე რეგიონულ გაზეთში.
- *გარე რეკლამა,* რომელიც სარეკლამო ბანერების სახით განთავსდა თბილისსა და საქართველოს რეგიონებში. სარეკლამო/საინფორმაციო ვიდეო რგოლები გადიოდა თბილისის მეტრო სადგურებში დამონტაჟებულ ეკრანებზე და 38 ვებ-გვერდზე.
- *ტელე-დაიჯესტი,* რომელიც განთავსდა ვიდეო პორტალზე “myvideo.ge”. სატელევიზიო დაიჯესტი ითარგმნა სომხურ და აზერბაიჯანულ ენებზე და გადაიცემოდა საზოგადოებრივი მაუწყებლის მეორე არხის ეთერშიც.

საინფორმაციო კამპანია აგრეთვე წარიმართებოდა ელექტრონული და სოციალური მედია საშუალებების გამოყენების, ცესკოს ვებ-გვერდისა და ბრენდირებული პროდუქციის გავცელების გზით.

ცესკოში შეიქმნა კონტაქტ-ცენტრი, რომელიც უზრუნველყოფდა ამომრჩეველთა და დაინტერესებულ პირთა ინფორმირებას, საარჩევნო საკითხებთან დაკავშირებით, როგორც ქართულ, ასევე სომხურ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე.

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების არჩევნებისთვის საზოგადოებაში საარჩევნო ცნობიერების ამაღლების, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდისა და არჩევნებში ამომრჩევლის როლის გააქტიურების ხელშეწყობის მიზნით, მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 30[1] მუხლის საფუძველზე, ცესკომ და სსიპ „საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა", თებერვალი-აპრილის თვეში, გასცა 10 მიზნობრივი გრანტი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის.

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენდა ახალგაზრდა ამომრჩევლების ინფორმირება და საარჩევნო პროცესებში აქტიურად ჩართვა, შესაბამისად ახალგაზრდა ამომრჩეველთა ინფორმირებისა და საარჩევნო პროცესებში მათი ჩართულობის მიზნით, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრმა, საგრანტო კონკურსის ფარგლებში, დააფინანსა 4 არასამთავრობო ორგანიზაცია მათ შორის იყო ერთ-ერთი პროექტი „ჩვენ მივდივართ არჩევნებზე! მოდი შენც!, რომელიც განხორციელდა „განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის" (CDD) მიერ, 27 მაისი - 5 ივნისი პერიოდში, საქართველოს საუნივერსიტეტო ქალაქებში: ქუთაისში, ბათუმში, გორში, ახალციხესა და თელავში. თითოეულ ქალაქში გაიმართა არჩევნების დღის სიმულაცია, სადაც ახალგაზრდებმა პროცედურების სრული დაცვით მონაწილეობა მიიღეს წლის საუკეთესო სადამკვირვებლო ორგანიზაციის არჩევნებში! არჩევნების დღის სიმულაციის შემდეგ გაიმართა აქცია–კონცერტი ანი მალაზონიას, მარიამ ელიაშვილისა და თამარ ალადაშვილის მონაწილეობით. აქცია – კონცერტებში „ჩვენ მივდივართ არჩევნებზე! მოდი შენც! მონაწილეობა მიიღო 1500-მდე ახალგაზრდა ასაკის ამომრჩეველმა.

მიზნობრივი გრანტებით აგრეთვე დაფინანსდა 5 პროექტი მედიასაშუალებების როლის გააქტიურების, მათ მიერ ამომრჩევლებისთვის ხარისხიანი, პროფესიული და დამოუკიდებელი ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად.

<u>ამომრჩეველთა ინფორმირება პენიტენციალურ სისტემაში</u>

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებში მონაწილეობის უფლება ქონდა საქართველოს ყველა მოქალაქეს, რომელიც იმყოფებოდა წინასწარ პატიმრობაში ან სასამართლოს განაჩენით იმყოფებოდა პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში და სასჯელს იხდიდა ნაკლებად მძიმე დანაშაულისათვის. აღნიშნული პირები კენჭისყრაში მონაწილეობას იღებდნენ ამომრჩეველთა სპეციალური სიის მეშვეობით.

თვითმმართველობის არჩევნებისთვის ჩამოყალიბდა მონიტორინგის 16 კაციანი ჯგუფი, რომელიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში სააგიტაციო მასალების განთავსებას აკვირდებოდა. პატიმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში წინასაარჩევნო კამპანიის მონიტორინგი 7–14 ივნისის ჩათვლით აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს

10 დაწესებულებაში განხორციელდა. მონიტორინგის ჯგუფში საარჩევნო სუბიექტების და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები შედიოდნენ, მათ შორის ჩვენი სადამკვირვებლო მისიის წევრები.

ცესკოს სწავლების ცენტრმა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სასწავლო ცენტრმა განახორციელა სასწავლო პროგრამა სასჯელაღსრულების სისტემის თანამშრომლებისთვის, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 36-მა მონაწილემ. ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირებულობის ამაღლების მიზნით, მომზადდა შესაბამისი საინფორმაციო ხასიათის ბუკლეტები, რომლებიც გადაეცათ სასჯელაღსრულების დაწესებულებების ადმინისტრაციებს მათი გავრცელების უზრუნველსაყოფად.

ჩვენი სადამკვირვებლო მისიის წევრებმა, ხმის მიცემის უფლების მქონე პატიმრების ინფორმირებისა და სააგიტაციო მასალების განთავსების წესების შესრულების საკითხების შესწავლის მიზნით, სასჯელაღსრულების დაწესებულებები მოინახულეს. მონიტორინგის ჯგუფის წევრებმა შეამოწმეს ის სარჩევნო უბნები, რომლებიც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში არის განთავსებული და ის სააგიტაციო მასალები, რომლებიც საარჩევნო სუბიექტებმა მიაწოდეს პატიმრების ინფორმირებისათვის.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისი კომისია

საქართველოს ორგანულ კანონში „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" განხორციელებული ცვლილების შესაბამისად (საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 48-ე მუხლის მე-5 პუნქტი) თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისია ეროვნული უშიშროების საბჭოს ნაცვლად იუსტიციის სამინისტროსთან შეიქმნა. იუსტიციის მინისტრის ბრძანებით (ბრძანება №17, 2014 წლის 3 აპრილი), დამტკიცდა კომისიის შემადგენლობა, რომელსაც სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარებისა და თავდაცვის სამინისტროები დაემატა, მონაწილეთა რაოდენობა კი ათი წევრით განისაზღვრა. კომისიას იუსტიციის მინისტრი ხელმძღვანელობდა.

კომისიამ 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნებისთვის მუშაობა შედარებით მოგვიანებით დაიწყო. იგი განიხილავდა საკითხებს, რომლებიც უკავშირდებოდა საჯარო მოსამსახურეების მიერ საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დარღვევის ფაქტებთან მიმართებით მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, აგრეთვე, დარღვევის შესახებ ინფორმაციას, რომელსაც უწყებათაშორის კომისიას აწვდიან პოლიტიკური გაერთიანებები (საარჩევნო სუბიექტები) ან დამკვირვებელი ორგანიზაციები. განხილვის შედეგად, კომისია გამოსცემდა რეკომენდაციებს საჯარო მოსამსახურეებისა და საჯარო დაწესებულებების მიმართ.

თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისი კომისიის ფორმატი ძალიან მნიშვნელოვანი იყო წინასაარჩევნო პერიოდში, რადგან პოლიტიკურ პარტიებსა და სადამკვირვებლო ორგანიზაციებს ჰქონდათ საშუალება უშუალოდ დაეყენებინათ საარჩევნო პერიოდთან დაკავშირებული მათთვის მნიშვნელოვანი საკითხები კომისიის წინაშე და კომისიის წევრებისთვის მიეწოდებინათ ინფორმაცია სავარაუდო დარღვევებთან დაკავშირებით.

უწყებათაშორისი კომისია საჭიროებისამებრ იკრიბებოდა და საქმიანობა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ არჩევნების საბოლოო შედეგების ოფიციალურად გამოქვეყნების

დღიდან შეწყვიტა. კომისიამ რამდენიმე მნიშვნელოვანი რეკომენდაცია შეიმუშავა. თუმცა, გამომდინარე იქედან, რომ ამ რეკომენდაციებს არ ჰქონდათ სავალდებულო იურიდიული ძალა და არ არსებობდა შესაბამისი უწყებების მიერ მათი აუცილებელი შესრულების უზრუნველყოფის მექანიზმი, რეკომენდაციათა ნაწილი შეუსრულებელი დარჩა.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურთან არსებული საკონსულტაციო კომისია

არჩევნებისათვის მოსამზადებელ პერიოდში, თებერვალი-აპრილის თვეებში, სახელმწიფო აუდიტის სამსახურსა და საარჩევნო საკითხებით დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციების შორის ჩატარდა რამოდენიმე სამუშაო შეხვედრა.

შეხვედრების შედეგად გენერალური აუდიტორის ინიციატივით მიმდინარე წლის 22 აპრილიდან შეიქმნა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებით დაკომპლექტებული საკონსულტაციო კომისია, რომელიც ყოველკვირეულად მართავდა შეხვედრებს, რაც პოზიტიურად უნდა შეფასდეს. აღნიშნული კომისიის მუშაობის მონიტორინგს ახორციელებდა განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი.

კომისია სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას იხილავდა მონიტორინგის მანდატის ფარგლებში პოლიტიკური დაფინანსების მარეგულირებელი წესების აღსრულების შესახებ, მათ შორის, ინფორმაციას პოლიტიკური დაფინანსების რეგულაციების შესაძლო დარღვევის თაობაზე.

წინასაარჩევნო პერიოდში არსებული პრობლემატიკა

<u>კანდიდატთა რეგისტრაცია</u>

კანდიდატების რეგისტრაციის პროცესთან დაკავშირებით რიგი პრობლემები გამოიწვია საარჩევნო კოდექსის 167-ე მუხლმა, რომელშიც დადგენილია რომ გამგებლად/მერად შეიძლება არჩეულ იქნას საქართველოს მოქალაქე რომელიც არჩევნების დღის დანიშვნის დღემდე ბოლო 2 წლის განმავლობაში მუდმივად ცხოვრობს საქართველოში. რეგულაციამ „მუდმივად ცხოვრობს“ გამოიწვია მთელი რიგი გაურკვევლობები, განსაკუთრებით დაზარალდნენ ოპოზიციური პარტიის მერობის/გამგებლობის კანდიდატები. (მაგალითად, თვითმმართველი ქალაქი გორის მერობის კანდიდატი ირაკლი ოქრუაშვილი, თვითმმართველი ქალაქი რუსთავის მერობის კანდიდატი არასაპარლამენტო ოპოზიციიდან, თვითმმართველი ქალაქი ფოთის მერობის კანდიდატი „ერთიან ნაციონალური მოძრაობიდან“ და ა.შ.)

<u>ზეწოლის ფაქტები</u>

წინასაარჩევნო პერიოდში, განსკუთრებით მაისის ბოლოს გახშირდა ოპოზიციურ პარტიების წარმომადგენლების მხრიდან კანდიდატურის მოხსნა, რომელიც აიხსნება სავარაუდო ზეწოლით, მუქარით და სხვადასხვა გარიგებებით. პარტიის წარმომადგენლებისაგან გაჟღერდა, რომ მათ კანდიდატებს ემუქრებოდნენ ოჯახის წევრების სამსახურიდან განთავისუფლებით, მიწის ჩამორთმევით და ა.შ. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრს მიაჩნია, რომ მსგავსი ქმედებები წინასაარჩევნო პერიოდში ზრდის დაძაბულობას და საფრთხეს უქმნის არჩევნების თავისუფალ, სამართლიან გარემოში ჩატარებას.

საარჩევნო კოდექსის 140-ე მუხლით დადგენილია შემდეგი კრიტერიუმები: თუ საარჩევნო ოლქში ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 75 000-ს, სიაში მინიმუმ 15 კანდიდატი უნდა იყოს, ხოლო თუ 75 000-ზე ნაკლები, მაშინ – მინიმუმ 10 კანდიდატი. საარჩევნო კოდექსის

მიხედვით კი, თუ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს მეორე დღისა, რეგისტრირებულ პარტიულ სიაში კანდიდატთა რაოდენობა ზემოაღნიშნულ მინიმუმზე ნაკლები აღმოჩნდა, გაუქმდება პარტიული სიის საარჩევნო რეგისტრაცია, ანუ პარტია, ამ საარჩევნო ოლქში პროპორციული საარჩევნო სისტემის საფუძველზე, საკრებულოს არჩევნებში მონაწილეობას ვეღარ მიიღებს.

სავარაუდო ზეწოლის, მუქარისა და კანონის აღნიშნული ნორმის გამოყენებით გარკვეული პრობლემები შეიქმნა. კერძოდ, დმანისში "ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიის" ხუთმა კანდიდატმა მოხსნა კანდიდატურა, რის შედეგადაც პარტიას გაუუქმდა პარტიული სია და ვეღარ შეძლო პროპორციული სისტემით არჩევნებში მონაწილეობის მიღება. ახალციხეში პოლიტიკურ პარტიის "საქართველოს გზა" სამმა კანდიდატმა ასევე მოხსნა საკუთარი კანდიდატურა, რაც პარტიული სიის რეგისტრაციის გაუქმების საფუძველი გახდა. მსგავსი პრობლემის წინაშე დადგა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" დმანისში, სადაც პროპორციულ სიაში კანდიდატთა მინიმუმი 10 ადამიანია. "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" 15-კაციან სიაში თავდაპირველად 5-მა კანდიდატმა მოხსნა კანდიდატურა. ერთი დამატებითი კანდიდატის მიერ სიაში უარის თქმა გამოიწვევდა პარტიის პროპორციული სიის რეგისტრაციის გაუქმებას.

31 მაისს საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ გურიაში გაკეთდა განცხადება, რომელშიც აღნიშნავდა რომ „ქართული ოცნება" არცერთ რეგიონსა და ქალაქში არ დაუშვებს სხვა პოლიტიკური ძალის გამარჯვებას. მან ასევე თქვა, რომ „ნაციონალების" არცერთი ნარჩენი არ უნდა დატოვონ". ამას ემატება საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს 1 ივნისის განცხადება, სადაც ყოველგვარი გამოძიების ჩატარების გარეშე უარყოფილია საარჩევნო კანდიდატებზე ზეწოლის ფაქტები.

ნინო ბურჯანაძე - გაერთიანებული ოპოზიცია ხაზს უსვამს ,,სამართლიანობის აღდგენას" – ანუ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" ყოფილი ლიდერების დაპატიმრებას მათი მმართველობის პერიოდში უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების სავარაუდო ფაქტების გამო.

მარტის ბოლოს პარლამენტის წევრი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" ნუგზარ წიკლაური რამდენიმე პირმა სცემა და მისი გატაცებაც სცადეს.

10 აპრილს ანაკლიაში, თბილისში, თელავსა და წყალტუბოში თბილისის უფლებამოსილება შეჩერებულ მერს გიგი უგულავას საკონსტიტუციო სასამართლოს შენობიდან გამოსვლისას კვერცხები ესროლეს.

27 მაისს განხორციელდა თავდასხმა ნაციონალური მოძრაობის წევრზე, ზურაბ ჭიაბერაშვილსა და პროფესორ ნოდარ ლადარიაზე თბილისის ერთ-ერთ კაფეში.

5 ივნისს მარნეულში "ნაციონალური მოძრაობის" ლიდერები საოლქო კომისიის თავმჯდომარის სამუშაო ოთახში შეიჭრნენ. მიზეზი გახლდათ მარნეულში მათივე კანდიდატის აკმამედ იმამყულიევის კანდიდატურის მოხსნასთან დაკავშირებით ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაციის "თავისუფალი განვითარებისა და უფლებების დაცვის ორგანიზაცია" მიერ შეტანილი განცხადება. პარტიის წარმომადგენლებმა კომისიის თავმჯდომარისგან განმარტებები მოითხოვეს. გიგი უგულავამ ცესკო-ს წარმომადგენელი ხელისუფლების სასარგებლო მიდგომაში დაადანაშაულა.

6 ივნისს - ბათუმში, "ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წინასაარჩევნო შეხვედრაზე პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებული პირები მიცვივდნენ და ფიზიკური დაპირისპირების პროვოცირება სცადეს. ამავე დღეს ათობით მომიტინგემ ნაციონალური

მოძრაობის ზუგდიდის ოფისის წინ აქცია გამართა, რომლის დროსაც ჩხუბს და ქვების სროლას ჰქონდა ადგილი.

8 ივნისს ბაღდათში საარჩევნო ბლოკ "არასაპარლამენტო ოპოზიციის" რაიონული ორგანიზაციის წევრს, ტარიელ ჟორჟოლიანს უცნობი პირები დაესხნენ თავს. შემთხვევა მაშინ მოხდა, როდესაც ჟორჟოლიანს "არასაპარლამენტო ოპოზიციის" სააგიტაციო მასალა მიჰქონდა თავის სოფელში გასავრცელებლად. ამავე დღეს რუსთავში, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ მაჟორიტარობის კანდიდატის დავით სულაძის საარჩევნო შტაბის შენობის ვიტრაჟი ჩაამტვრიეს .

საქართველოს პროკურატურამ საარჩევნო სუბიექტების მიმართ განხორციელებული შესაძლო ზეწოლის 80 ფაქტი გამოიკვლია. 76 შემთხვევაში საარჩევნო სუბიექტებმა გამოკითხვისას არ დაადასტურეს გავრცელებული ინფორმაცია სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენელთა ან სხვა პირთა მხრიდან ზეწოლის შედეგად კანდიდატურის მოხსნის შესახებ და კანდიდატურის მოხსნის მიზეზად სხვადასხვა პირადი (ოჯახური მდგომარეობა, ასაკი, გადატვირთულობა და ა.შ.) მოტივი დაასახელეს. 4 შემთხვევაში დაიწყო გამოძიება საქართველოს სსკ-ის 150-ე მუხლით, რაც გულისხმობს ადამიანის ქმედების თავისუფლების უკანონო შეზღუდვას.

<u>განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრს მიაჩნია, რომ აღნიშნული ტიპის კამპანია უფრო მეტად სხვა პარტიების კრიტიკასა და დელეგიტიმაციაზე ამახვილებს ყურადღებას და არა ადგილობრივ პრობლემატიკაზე, რაც საბოლოო ჯამში საარჩევნო გარემოზე უარყოფითად აისახება.</u>

შეიძლება ითქვას, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნები პოლიტიკური ძალადობის მხრივ სიმწვავით გამოირჩეოდა, მათ შორის იყო სისხლიანი ინციდენტებიც. მთელი ქვეყნის მასშტაბით საარჩევნო კამპანიას სხვადასხვა მიზეზით 400-მდე კანდიდატი გამოეთიშა.

<u>ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება და ამომრჩევლის მოსყიდვა</u>

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნებისათვის დაფიქსირდა ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებისა და ამომრჩეველთა მოსყიდვის ერთეული ფაქტები. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ წინასაარჩევნო პროცესში ადგილი ჰქონდა რიგ ინციდენტებს, რომლებიც შეეხებოდა ამომრჩევლების დაშინებას, ზეწოლას, პოლიტიკური სუბიექტების მიერ აგიტაციის წესების დარღვევას, ისევე როგორც, წინასაარჩევნო კამპანიისთვის/ საქმიანობისთვის ხელის შეშლას, კერძოდ პარტია „საქართველოს გზის“ მერობის კანდიდატის მიმართ ქ. რუსთავში, რომელსაც კანონის დარღვევით არ მიეცა ერთ-ერთ შენობაში შეხვედრის ჩატარების შესაძლებლობა.

საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ წინასაარჩევნო პერიოდში ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს კუთვნილი სატრანსპორტო საშუალებების უკანონოდ, წინასაარჩევნო კამპანიის მიზნით გამოყენების შემთხვევებს, მაგალითად: ხარაგაულის გამგებლის და გამგეობის თანამშრომლების მიერ, რომლებიც 3 მაისს ქუთაისში კოალიცია „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო კამპანიის ფარგლებში დაგეგმილ აქციაზე მივიდნენ სამსახურებრივი სატრანსპორტო საშუალებებით.

2014 წლის 14 აპრილს, არჩევნების დანიშვნის დღეს ძალაში შევიდა საქართველოს მთავრობის დადგენილება, რომლითაც გადაწყდა ერთჯერადი ფულადი დახმარების გაცემა მეორე მსოფლიო ომში მონაწილეთა და მარჩენალდაკარგული ოჯახებისათვის;

17 აპრილს ქარელის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა და ,,ქართული ოცნების“ გამგებლობის კანდიდატმა ზაზა გულიაშვილმა ახალსოფლის, მოხისისა და აგარის დასახლებაში მცხოვრებ დევნილთა ოჯახებს სააღდგომო საჩუქრები გადასცა. აგრეთვე აღნიშნულმა პირმა 9 მაისს ქარელის რაიონში მცხოვრებ 22 ვეტერანს პირადად გადასცა ფულადი თანხა 100 ლარის ოდენობით.

ანალოგიური შემთხვევა დაფიქსირდა ასპინძაში სადაც ასპინძის მუნიციპალიტეტის მოქმედმა გამგებელმა და ამავე დროს "ქართული ოცნების" გამგებლობის კანდიდატმა - ლევან ცაბაძემ ომის ვეტერანებს საჩუქრები და მისალოცი ბარათები გადასცა.

22 აპრილიდან 5 მაისამდე პერიოდში, კასპის მუნიციპალიტეტის სოფ. გომში ადგილი ჰქონდა ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულისა და სპეციალისტის მიერ სამუშაო საათების განმავლობაში საკრებულოს წევრობის კანდიდატის, ალექსი ბიძინაშვილის მხარდასაჭერად ხელმოწერების შეგროვებას.

30 აპრილს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის ბექა ბაიდაურის მიერ, „ქართული ოცნება- დემოკრატიული საქართველოს“ ადგილობრივი შტაბის თავმჯდომარესთან მამუკა ხოლეგაშვილთან ერთად, თუშეთის ვერტმფრენის გამოყენებით გადაადგილება და მოსახლეობისთვის სააღდგომო კალათებისა და მედიკამენტების გადაცემა.

1 მაისიდან დედოფლისწყაროს სკოლამდელი აღზრდის ცენტრის 250 თანამშრომლის ხელფასი 30%-ით გაიზარდა.

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის მიერ 3 მაისს გაჟღერებულ იქნა ინფორმაცია ექიმების ხელფასების 30%-ით გაზრდასთან დაკავშირებით.

7 მაისს აჭარის მთავრობის მიერ „ლიბერთი ბანკის“ ბენეფიციარების კრედიტის დასაფარად ბიუჯეტიდან 6 მილიონი ლარი გამოიყო.

7 ივნისს, საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნების“ ლანჩხუთის თემის გამგებლობის კანდიდატის (იმავდროულად ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოქმედი თავმჯდომარე) ზაზა ურუშაძის მხრიდან, გადაცემა „ეტალონის“ მიმდინარეობისას განხორციელდა სატელეფონო დაპირება საჯარო სკოლის მოსწავლეებისათვის ფულადი თანხებისა და მობილური ტელეფონების გადაცემის თაობაზე.

საბოლოო ჯამში უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული რესურსის საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენების პრაქტიკა ბოლო რამდენიმე არჩევნების დროს თანდათანობით შემცირდა. თუმცა აღნიშნული ტიპის ქმედებები, რომელიც სახელმწიფო მოხელისა თუ მთავრობის მეთაურის მხრიდან ხორციელდება, მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენს არჩევნების მიუკერძოებლობისათვის.

არჩევნების I ტური

სადამკვირვებლო მისია

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი (CDD) დააკვირდა ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების მიმდინარეობას საქართველოს 73 საარჩევნო ოლქში 150 კაციანი სადამკვირვებლო მისიით. გრძელვადიანი და მოკლევადიანი დამკვირვებლები განაწილებულები იყვნენ სხვადასხვა საარჩევნო ოლქებში და შემთხვევით შერჩეულ საარჩევნო უბნებზე დაესწრნენ უბნის გახსნას, კენჭისყრის პროცესს და საარჩევნო უბნის დახურვის პროცედურებს.

არჩევნების დღეს ორგანიზაციის სათაო ოფისში ფუნქციონირებდა ქოლ-ცენტრი (790 333 111), სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონდა მიეღო საჭირო ინფორმაცია საარჩევნო პროცესების მიმდინარეობის შესახებ. ქოლ-ცენტრის მეშვეობით ორგანიზაციას აგრეთვე მიეწოდებოდა ინფორმაცია საარჩევნო პროცესების მიმდინარეობისა და დარღვევების შესახებ, რომელთა კლასიფიკაცია, განაწილება და რეაგირება ხორციელდებოდა მყისიერად.

არჩევნების დღისთვის თბილისისა და რეგიონების საარჩევნო უბნებისთვის შეიქმნა 10 მობილური ჯგუფი.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი სადამკვირვებლო მისიის განხორციელებისას ხელმძღვანელობდა ადგილობრივი კანონმდებლობის, საერთაშორისო სტანდარტებისა და ორგანიზაციის დამკვირვებლის ქცევის კოდექსის შესაბამისად.

კენჭისყრის დღე

2014 წლის 15 ივნისს საარჩევნო უბნები საქართველოს მასშტაბით დილის 07^{00} სთ-ზე გაიხსნა.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) მოკლევადიანი დამკვირვებლები საარჩევნო უბნის გახსნისთანავე იმყოფებოდნენ დანიშნულების ადგილზე და შეუფერხებლად აკვირდებოდნენ უბნის გახსნის პროცედურას. საარჩევნო უბნის გახსნიდან კენჭისყრის დაწყებამდე პროცედურები უმეტეს შემთხვევაში ჩატარდა წესის დაცვით თუმცა, რამდენიმე საარჩევნო უბანზე დაფიქსირდა უმნიშვნელო პროცედურული ხარვეზები, რასაც საერთო ჯამში პროცესზე გავლენა არ მოუხდენია.

დილის 08^{00} საათისთვის თითქმის ყველა საარჩევნო უბანი მზად იყო პირველი ამომრჩევლის მისაღებად. დადგენილი წესით, ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქით დალუქული იყო ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები. კომისიაში წილისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის წევრის დაგვიანებით გამოცხადდება არ დაფიქსირებულა.

მთელი დღის განმავლობაში მუდმივად ხდებოდა დამკვირვებლებთან დაკავშირება და ინფორმაციის მიღება. ორგანიზაციის წარმომადგენელი ასევე მუდმივად იმყოფებოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში და ესწრებოდა საინფორმაციო ბრიფინგებს.

CDD-ის ქოლ-ცენტრში მოქალაქეებისაგან 50-მდე ზარი შემოვიდა, სხვადასხვა პროცედურული დარღვევების შესახებ - ამომრჩევლების სიებში არყოფნის, სიებში აღმოჩენილი ე.წ. „მკვდარი სულების“, ბიულეტენებთან დაკავშირებულ საკითხებზე, ზეწოლის ფაქტთან დაკავშირებით და ა.შ, აღნიშნული ინფორმაცია კლასიფიცირდებოდა, ნაწილდებოდა (ოლქებისა და უბნების მიხედვით) და რეაგირება ხორციელდებოდა მყისიერად.

კენჭისყრის პროცესი, მთელი დღის განმავლობაში, მშვიდ გარემოში კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით მიმდინარეობდა. მიუხედავად იმისა, რომ საარჩევნო უბნებზე პირველად ამომრჩეველთა ფოტოსურათიანი სია იყო განთავსებული, რეგისტრატორები განსაკუთრებულ ყურადღებას მაინც არ აქცევდნენ ამომრჩევლის სახისა და სიაში არსებული ფოტოს შედარებას. ამომრჩეველთა მარკირება და მარკირების შემოწმების პროცედურა ძირითადად ხორციელდებოდა კანონით დადგენილი წესის დაცვით. რეგისტრატორების მიერ საარჩევნო ბიულეტენები სათანადოდ მოწმდებოდა ხელმოწერითა

და ბეჭდით, თუმცა იყო მცირედი შემთხვევები ბიულეტენის არასწორად გაცემასთან დაკავშრებით. ხმის მიცემის ფარულობა საარჩევნო უბნებზე ყოველთვის დაცული იყო.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 1 485 372 (43,31%) ამომრჩეველმა. 12^{00} საათისთვის ამომრჩეველთა აქტივობა მთელი ქვეყნის მასშტაბით 16,65% იყო, რაც საკმაოდ მაღალია.







ამომრჩეველთა აქტივობა



ამომრჩეველთა აქტივობის ცვალებადობა დროის სხვადასხვა შუალედში

აღსანიშნავია, რომ რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა გამოირჩეოდა მეტი აქტიურობით ვიდრე თბილისში მცხოვრები ამომრჩევლები. მამაკაცთა სქესის (46,7%) წარმომადგენლების აქტივობა არჩევნებზე უფრო მაღალი იყო ვიდრე ქალთა (40,4%). როგორც ამომრჩეველთა აქტივობის ანალიზიდან ჩანს, ყველაზე დიდი აქტივობა იყო დილის საათებში (08-12 სთ შუალედში), შემდეგ 12სთ-დან 15 სთ-მდე შუალედში აქტივობა შემცირდა 26,2%-ით, კიდევ უფრო შემცირდა 15-17 სთ შუალედში (53,6%-ით) და საღამოს საათებში (17-20 სთ) ამომრჩეველთა აქტივობამ ოდნავ იმატა 31 %-ით.

უმცირესობებით დასახლებულ რეგიონებში ადგილი ჰქონდა აგიტაციისა (საგარეჯოს ოლქი) და „ოჯახური“ ხმის მიცემის ფაქტებს საარჩევნო უბნებზე.

არჩევნების დღეს სატელევიზიო არხების უმეტესობაზე განსხვავებული ფორმატისა და ჩვეულებრივზე ვრცელი საინფორმაციო გამოშვება გადიოდა. ეს საინფორმაციო გამოშვებები დეტალურად მიმოიხილავდა არჩევნების მიმდინარეობას, დარღვევებს, ეგზიტპოლის შედეგებს, სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის წარმომადგენლების შეფასებებსა და კანდიდატების განცხადებებს.

აღსანიშნავია, საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის პრობლემები, რაც ჩვენი დაკვირვებით, კენჭისყრის დღეს არსებულ დარღვევათა გამომწვევი ძირითადი მიზეზი იყო. თუმცა საარჩევნო ადმინისტრაციის ზემდგომი ინსტანციების სწრაფი რეაგირება და აღნიშნულ დარღვევათა უმრავლესობის უმოკლეს დროში მოწესრიგების ეფექტური მცდელობა შეგვიძლია დადებითად შევაფასოთ.

CDD სრულად დააკვირდა კენჭისყრის პროცესს თავდაცვის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დაწესებულებებში, შინაგან საქმეთა სამინისტროს ქვედანაყოფებსა და ხანდაზმულთა პანსიონატში გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ საარჩევნო უბნებში. ორგანიზაციის სადამკვირვებლო მისიის მიერ მოწოდებულ ინფორმაციით კენჭისყრის პროცესმა გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ უბნებზე ჩაიარა ორგანიზებულად და მშვიდ გარემოში. თუმცა, დაფიქსირდა რიგი პრობლემები - პირადობის მოწმობების დროულად არ მიწოდება ამომრჩევლისათვის, რის შედეგადაც სასჯელაღსრულების დაწესებულებების ნაწილში ძალიან დაბალი აქტივობა დაფიქსირდა. ასევე ადგილი ჰქონდა ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებულ პრობლემებს.

15 ივნისს, კენჭისყრის დღეს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 4883 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველმა, აქედან მცირემხედველი - 4284, უსინათლო - 272, სმენადაქვეითებული - 239 და ეტლით მოსარგებლე - 88 ამომრჩეველმა. აღნიშნული აქტივობა მნიშვნელოვნად არის გაზრდილი საქართველოს პრეზიდენტის 2013 წლის 27 ოქტომბრის არჩევნებთან შედარებით (არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 237 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველმა, აქედან უსინათლო - 160, სმენადაქვეითებული - 24 და ეტლით მოსარგებლე - 53 ამომრჩეველმა), რაც მიუთითებს შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველთა ინფორმირებისა და არჩევნებში მათი ჩართულობის მიმართულებით განხორციელებულ ეფექტურ აქტივობებზე.

კენჭისყრის პროცესის დასრულების შემდეგ, თითოეული საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმები, მცირე შეფერხებით, თავსდებოდა ცენტრალური საარჩევნო კომისიის სპეციალურ ვებ-გვერდზე (www.results.cec.gov.ge.). აღნიშნული აქტივობა ძალზედ პოზიტიურია, ვინაიდან ყველა დაინტერესებული მხარისთვის არის ხელმისაწვდომი და შესაბამისად, ყველას აქვს შესაძლებლობა ეტაპობრივად ადევნოს თვალყური შედეგების დათვლის პროცესს.

<u>დამკვირვებლების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, ჩატარდა კენჭისყრის დღის ანალიზი, შეფასდა გამოვლენილი დარღვევები. კენჭისყრის პროცესმა მთელი ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულად, მშვიდ გარემოში ჩაიარა. არჩევნების დღეს არსებულ დარღვევებს მასშტაბური ხასიათი არ ჰქონია, შესაბამისად ვინაიდან საარჩევნო ადმინისტრაციამ მოახდინა შესაბამისი რეაგირება, მიგვაჩნია, რომ აღნიშნულ დარღვევებს არ მოუხდენია ზეგავლენა არჩევნების საბოლოო შედეგებზე.</u>

კენჭისყრის დღეს არსებული დარღვევები, საჩივრები და დავები

სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში მუშაობდა იურისტების ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს უწევდა კენჭისყრის დღეს გამოვლენილ დარღვევებს. კენჭისყრის დღეს დაფიქსირებული დარღვევების უმეტესობა პროცედურულ ხასიათის ატარებდა, რის თაობაზეც კანონით დადგენილი წესით დაიწერა საჩივარი, უმეტეს შემთხვევაში კი დამკვირვებლის მიერ საარჩევნო უბნებზე გაკეთებულ მითითებებს მოჰყვა სწრაფი რეაგირება საარჩევნო კომისიის მხრიდან და მოხდა ხარვეზის მყისიერად აღმოფხვრა.

<u>საარჩევნო უბნების გახსნასთან დაკავშირებული დარღვევები</u>

საარჩევნო უბნების გახსნისას დაფიქსირდა პროცედურული ხასიათის დარღვევები, მათ შორის: საარჩევნო დოკუმენტაციის არასწორი წარმოება, საკონტროლო ფურცლის ხარვეზებით შევსება, საარჩევნო უბნების არასათანადო მოწყობა, ზოგიერთი წილისყრის ფურცელი არ იყო დამოწმებული ბეჭდით, გადასატანი საარჩევნო ყუთის წასაღებად წილისყრით გამოვლინდნენ ერთი საარჩევნო სუბიექტის მიერ წარდგენილი საარჩევნო კომისიის წევრები და სხვა.

იყო შემთხვევები როდესაც წილისყრით გამოსავლენი ფუნქციების გადანაწილება კომისიის წევრებს მოხდა თვითნებურად, თავმჯდომარის ნებასურვილით ან უშუალოდ წევრების მიერ. მაგ: ბათუმის N11 და N 58; ისნის N66 ; ზუგდიდის N35 უბნები.

დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა საკონტროლო ფურცლის არასრულფასოვნად შევსების ფაქტები, კერძოდ წყალტუბოს N1, გურჯაანის N37 და N39; ქუთაისის N50, ნაძალადევის N37 უბნები.

სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ უბნებზე (ქუთაისის N128, ბათუმის N 105, გლდანის N 110) განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის დამკვირვებლებს უბანზე დაშვების პრობლემა შეექმნათ, თუმცა ცესკოს დროული ჩარევის შედეგად აღნიშნულ უბნებზე მალევე დაუშვეს და მიეცათ უფლება დაკვირვებოდნენ კენჭისყრის პროცესს შეფერხების გარეშე.

<u>კენჭისყრის პროცედურასთან დაკავშირებული დარღვევები</u>

ხმის მიცემის პროცესთან დაკავშირებული დარღვევების უმეტესობა პროცედურული ხასიათის იყო, მათ შორის: საარჩევნო დოკუმენტაციის არასწორი წარმოება, არასათანადო დოკუმენტაციით ხმის მიცემა, ბიულეტენების წინასწარი გამზადება, მარკირების სითხის წინასწარი გამოყენება, სასჯელაღსრულების დაწესებულებებში შექმნილ უბნებზე მარკირების პროცედურის არაერთგვაროვანი გამოყენება და სხვა.

დამკვირვებლების მიერ გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ უბნებზე დაფიქსირდა ამომრჩეველთა სიებთან დაკავშირებული პრობლემები. ნაძალადევის ოლქის N 96-ე უბანზე საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ უბნისათვის მიწოდებულ სიაში არ აღმოჩნდა 20 ამომრჩეველი, რომელთა შესახებ ინფორმაცია ოლქისათვის, ხანდაზმულთა პანსიონატის ადმინისტრაციას დროულად ჰქონდა მიწოდებული. ასევე, ბათუმის N105-ე ამომრჩეველთა სიაში დაფიქსირდა ორი ამომრჩეველი, რომელმაც უკვე დატოვა სასჯელაღსრულების დაწესებულება.

იყო შემთხვევები, როდესაც ამომრჩევლის პირადობის მოწმობაში არსებული სურათი არ ემთხვეოდა სიაში არსებულ ფოტოვერსიას, კერძოდ კასპის N24 და ბათუმის N67 საარჩევნო უბანზე. აგრეთვე დაფიქსირდა ხმის მიცემის უფლების შეზღუდვები, კერძოდ ისნის N58 უბანსა და ბათუმის N75; N79 და N82 უბნებზე მისულ ამომრჩევლებს სამაგიდო სიაში მისი სახელის და გვარის გასწვრივ დახვდათ სხვა პირის მიერ განხორციელებული ხელმოწერა.

გლდანის ოლქის გამონაკლის შემთხვევაში შექმნილ უბანზე არ იყო ჯეროვნად მიწოდებული ინფორმაცია ამომრჩევლებისათვის. აღსანიშნავია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში გამონაკლის შემთხვევებში შექმნილ საარჩევნო უბნებზე მსჯავრდებულები ამომრჩევლების დაბალი აქტივობა დაფიქსირდა, ძირითადად პირადობის დამადასტურებელი მოწმობის არ ქონის გამო.

მცხეთისა და თბილისის ოლქის რამდენიმე უბანზე დაფიქსირდა რეგისტრატორების მიერ ბიულეტენების არასწორად გაცემის ფაქტები. მაგ: ამომრჩეველს 3 ბიულეტენის ნაცვლად აძლევდნენ ორს ან ოთხს. ასევე, დაფიქსირდა 2 ერთნაირი ბიულეტენის გაცემის ფაქტიც (გორის ოლქი)

ხმების დათვლის პროცედურასთან დაკავშირებული დარღვევები

მთელი ქვეყნის მასშტაბით, საარჩევნო უბნებში ხმის დათვლის პროცესმა ინციდენტების გარეშე ჩაიარა. დამკვირვებლების მიერ დაფიქსირდა ხმების დათვლის პროცედურის დარღვევის სხვადასხვა შემთხვევები, მათ შორის ბიულეტენების თვლის პროცედურის წესების დარღვევა (კასპის N32 გლდანის N14; თელავის N16; ზუგდიდის N38 და №68 საარჩევნო უბნებზე); დოკუმენტაციის არასათანადო დალუქვა (ოზურგეთის N9; ბოლნისის N45; ლაგოდეხის N21; წყალტუბოს N64-ე, N52-ე, N56-ე, N16-ე საარჩევნო უბნებზე) ბიულეტენების უსაფუძვლოდ ცნობა ბათილად (ბათუმის N61 უბანზე).

იყო შემთხვევები როდესაც წილისყრით გამოსავლენი მთვლელის ფუნქციების გადანაწილება კომისიის წევრებს მოხდა თვითნებურად, თავმჯდომარის ნებასურვილით ან უშუალოდ წევრების მიერ. მაგ: ბათუმის N77 უბანზე.

დაფიქსირდა დარღვევები ბიულეტენების დახარისხების წესთან დაკავშირებით, კერძოდ ნამდვილი და ბათილი ბიულეტენების ერთმანეთში შერევა (მარტვილის №29 უბანზე).

საჩივრები და დავები

CDD-ის სადამკვირვებლო მისიამ 2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების შემდგომ შემაჯამებელი ოქმების სიზუსტის და სისრულის მონიტორინგი განახორციელა.

იურისტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა დამკვირვებლების მიერ წარმოდგენილი კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების ანალიზი, რი შედეგად გამოვლინდა შემდეგი ტიპის დარღვევები: შემაჯამებელ ოქმები არ იყო დამოწმებული უბნის ბეჭდით, ოქმები არ იყო საუბნო კომისიის წევრთა მიერ ხელმოწერილი, ოქმებში ფიქსირდებოდა შესწორებები ზოგადი პროცედურის დარღვევით, ოქმებზე არ იყო სათანადო რეკვიზიტები (შედგენის თარიღი და დრო, ბეჭდის ნომერი), ოქმებში შეინიშნებოდა კენჭისყრაში მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობისა და კანდიდატების მიერ მიღებულ ხმათა რაოდენობის შეუსაბამობის პრობლემა, ფიქსირდებოდა შედეგების ჩასწორება შემაჯამებელ ოქმში და ა.შ. ამ და სხვა ტიპის დარღვევებზე სადამკვირვებლო ორგანიზაციამ 20 განცხადება/საჩივარი დაწერა 20 საარჩევნო ოლქის 40-ზე მეტი უბნის კენჭისყრის შედეგების შეჯამების დროს არსებულ დარღვევებთან დაკავშირებით.

განცხადება საჩივარში მოვითხოვდით, შესაბამისი საარჩევნო კომისიის უფლებამოსილ პირების, სამსახურეობრივი მოვალეობის არაჯეროვანი შესრულებისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომად განესაზღვრათ შენიშვნა, რაც რიგ შემთხვევაში სრულად დაკმაყოფილდა (6 ოლქის 15 უბანი), ნაწილობრივ (4 ოლქის 14 უბანი) და ან არ დაკმაყოფილდა (4 ოლქის 6 უბანი), 6 ოლქმა განუხილველად დატოვა სადამკვირვებლო მისიის საჩივარი.

არჩევნების შემდგომი პერიოდი

ხმების შეჯამება და არჩევნების შედეგების გამოცხადება

16 ივნისს ცესკომ თვითმმართველობის არჩევნების პირველადი შედეგები მოსახლეობას გააცნო, ხოლო 17 ივნისს საზოგადოებას 12 თვითმმართველ ქალაქში მერის არჩევნების წინასწარი შედეგები წარუდგინა.

<u>კენჭისყრის შედეგების შეჯამება საოლქო საარჩევნო კომისიაში</u>

CDD-ის დამკვირვებლების ინფორმაციით საოლქო საარჩევნო კომისიები მომზადებულნი შეხვდნენ საუბნო კომისიებიდან დალუქული საარჩევნო დოკუმენტაციის მიღებას, თუმცა პროცესი ქაოტურ ხასიათს ატარებდა და მეტ-ნაკლებად ორგანიზებული იყო. დაფიქსირდა საარჩევნო დოკუმენტაციის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების გარეშე ან ამ აქტის მოგვიანებით გაფორმების შემთხვევები.

ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისია საუბნო საარჩევნო კომისიის შემაჯამებელ ოქმებზე დაშვებულ არსებითი ხასიათის უზუსტობებს ადგილზე ასწორებდა და უბნის შემაჯამებელ ოქმებს შესწორების ოქმებს მოგვიანებით ოლქში ურთავდა. აღნიშნული ნათლად ჩანს ცესკოს ვებ გვერდზე განთავსებულ საუბნო კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმების დანართებში, სადაც უმეტესობა შესწორების ოქმები და არჩევნების დღის მომდევნო დღეს საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის მიერ შედგენილი ახსნა-განმარტებებია (რომელსაც კანონი „ საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ არ იცნობს) დაშვებულ შეცდომებთან დაკავშირებით.

აღნიშნულის გამო, რიგ შემთხვევებში, საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გაცემული შემაჯამებელი ოქმები განსხვავდებოდა უბანში გაცემული ოქმებისგან. მიუხედავად დარღვევის სიმძიმისა, საოლქო საარჩევნო კომისიები უპირატესობას დისციპლინური პასუხისმგებლობის მსუბუქი ზომების გამოყენებას ანიჭებდნენ და კანონით გათვალისწინებულ უფრო ადეკვატურ ღონისძიებებს არ მიმართავდნენ.

საოლქო საარჩევნო კომისიებში სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების მხრიდან შევიდა 600-ზე მეტი გამცხადება/საჩივარი, რომელიც შეეხებოდა სხვადასხვა სახის პროცედურულ დარღვევებს, კერძოდ: საარჩევნო დოკუმენტაციის არასათანადოდ წარმოება/შევსება, შემაჯამებელი ოქმის არასათანადოდ შედგენა, შემაჯამებელი ოქმის უკანონოდ გადასწორება, საარჩევნო სუბიექტებისა და ბათილი ბიულეტენების რაოდენობის შეუსაბამობა ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობასთან, საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის წესის დარღვევა და სხვა სახის დარღვევები. მათგან 161 განცხადება/საჩივარი სრულად, ხოლო 94 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. 291 განცხადება/საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 11 განუხილველად იქნა დატოვებული.

ზოგიერთი საოლქო საარჩევნო კომისიის მხრიდან არ ხდებოდა განცხადება/საჩივრებში ასახული დარღვევების დეტალური შესწავლა, რის გამოც არაჯეროვნად იქნა გამოკვლეული მტკიცებულებები და დაუსაბუთებელი გადაწყვეტილებები მიღებული.

საოლქო საარჩევნო კომისიებში შესული განცხადება/საჩივრების საფუძველზე, რიგ შემთხვევაში კი უშუალოდ საოლქო საარჩევნო კომისიის ინიციატივით, საუბნო საარჩევნო კომისიის ხელმძღვანელი პირებისა და კომისიის წევრების მიმართ გამოყენებულ იქნა სხვადასხვა სახის სანქციები (301 გაფრთხილება, 3 სამსახურიდან გაშვება, 1107 შენიშვნა, 196 ხელფასის დაკავება, 3 ჯარიმა)



საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს პროპორციული/მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნებისა და მერის/გამგებლის არჩევნების შედეგებს ადგენს და აჯამებს შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისია, ხოლო ქალაქ თბილისის მერის არჩევნების შედეგებს აჯამებენ შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიები და ადგენს ცესკო. შესაბამისად არსებული საჩივრების განხილვების დასრულების შემდგომ საოლქო საარჩევნო კომისიებმა დადგენილ ვადაში შეაჯამეს საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების შედეგები (პროპორციული და მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნები, თვითმმართველი თემის გამგებლისა და თვითმმართველი ქალაქის მერის არჩევნები, საქართველოს დედაქალაქის - ქალაქ თბილისის საკრებულოსა და თბილისის მერის არჩევნები) .

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, მერის/გამგებლის არჩევნებში არჩეულად ჩაითვლებოდა ის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 50%-ზე მეტს მიიღებდა. შესაბამისად 12 თვითმმართველი ქალაქის მერობის კანდიდატებიდან ბარიერი გადალახა და გაიმარჯვა ოთხმა კანდიდატმა (ახალციხის, ამბროლაურის, ქუთაისის და ზუგდიდის თვითმმართველ ერთეულებში), ხოლო 59 თვითმმართველი თემის გამგებლობის კანდიდატიდან ბარიერი გადალახა და გაიმარჯვა 46 კანდიდატმა. დარჩენილ თვითმმართველ ქალაქებსა (8 და თემებში (13), მერის/გამგებლის ასარჩევად დაინიშნა არჩევნების მეორე ტური.

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების პირველ ტურში გამარჯვებული 4 თვითმმართველი ქალაქის მერობისა 46 თვითმმართველი თემის გამგებლობის კანდიდატები იყვნენ ს/ბ „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილნი.

2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს- საკრებულოს პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგად მიღებული ამომრჩეველთა ხმები პოლიტიკური გაერთიანებებს შორის, საქართველოს მასშტაბით, გადანაწილდა შემდეგი პროცენტული მაჩვენებლით:



საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 148-ე მუხლის შესაბამისად მანდატები განაწილდა იმ პოლიტიკურ სუბიექტებს (პარტიებს/საარჩევნო ბლოკებს) შორის, რომლებმაც კონკრეტულ მაჟორიტარულ ოლქში მიიღეს პროპორციული სისტემით არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4%-ისა.

თვითმმართველი ქალაქებისა და თემების რაოდენობა სადაც არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურმა სუბიექტებმა პროპორციული სისტემით გადალახეს 4% იანი ბარიერი	თემი		ქალაქი	
N1 -არასაპარლამენტო ოპოზიცია *(კახა კუკავა, ფიქრია ჩიხრაძე)*	6	10%	2	17%
N2 -საქართველოს ძალოვან ვეტერანთა და პატრიოტთა პოლიტიკური მოძრაობა	5	8%	0	0%
N3 -ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია	54	92%	12	100%
N5 -ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	58	98%	12	100%
N6 -გიორგი გაჩეჩილაძე – მწვანეთა პარტია	2	3%	1	8%
N8 -დავით თარხან-მოურავი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი	22	37%	8	67%
N9 -თვითმმართველობა ხალხს!	2	3%	0	0%
N12 -ჩვენი საქართველო	1	2%	1	8%
N14 -„ირაკლი ოქრუაშვილი - ქართული პარტია"	1	2%	1	8%
N16 -ქრისტიან დემოკრატიული პარტია *(ქრისტიან დემოკრატები)*	1	2%	0	0%
N17 -ერთიანობის დარბაზი	1	2%	1	8%
N18 -სალომე ზურაბიშვილი – საქართველოს გზა	5	8%	2	17%
N19 -„თავისუფლება - ზვიად გამსახურდიას გზა"	1	2%	0	0%
N20 -შალვა ნათელაშვილი – საქართველოს ლეიბორისტული პარტია	19	32%	7	58%
N26 -სახალხო პარტია	2	3%	1	8%
N30 -მერაბ კოსტავას საზოგადოება	1	2%	0	0%
N41 -ქართული ოცნება	59	100%	12	100%



საქართველოს მასშტაბით, ბათილად იქნა ცნობილი 14 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგები, ხოლო საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ გადათვლილ იქნა 65 საარჩევნო უბნის კენჭისყრის შედეგები. აღნიშნული 65 საარჩევნო უბნის ძირითად ნაწილში არ გამოკვეთილა არსებითი ხასიათის პრობლემები, რასაც შესაძლოა გავლენა მოეხდინა კენჭისყრის შედეგებზე.

კენჭისყრის შედეგების შეჯამება ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში

თბილისის მერის და პროპორციული საარჩევნო სისტემით ჩატარებული არჩევნების შედეგები ცესკომ 27 ივნისს შეაჯამა, ხოლო 3 ივლისს საარჩევნო ადმინისტრაციამ თვითმმართველობის არჩევნების საბოლოო შედეგები დაადგინა და მეორე ტურის თარიღი განსაზღვრა.

ცესკოში სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლების მხრიდან შევიდა 100-ზე მეტი გამცხადება/საჩივარი, რომელიც შეეხებოდა სხვადასხვა სახის პროცედურულ დარღვევებს. მათგან 33 განცხადება/საჩივარი სრულად, ხოლო 3 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. 37 განცხადება/საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 18 განუხილველად იქნა დატოვებული.

ცესკომ პროპორციული და შესაბამისი საოლქო საარჩევნო კომისიების მაჟორიტარული, კანონიერ ძალაში შესული შემაჯამებელი ოქმების მონაცემების მიხედვით შეაჯამა საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის საკრებულოს 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების შედეგები.

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" 148-ე მუხლის შესაბამისად მანდატები განაწილდა იმ პარტიებს/საარჩევნო ბლოკებს შორის, რომლებმაც მიიღეს არჩევნებში მონაწილეთა ხმების არანაკლებ 4%-ისა: ს/ბ „ქართული ოცნება" (46,01%) - 13 მანდატი , ს/ბ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა" (26,11%) - 7 მანდატი; პ/გ „ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია" (10,35%) - 3 მანდატი; პ/გ „დავით თარხან-მოურავი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" (6,35%) - 2 მანდატი.



ქართული ოცნება

1. ფავლენიშვილი ირაკლი
2. ალიბეგაშვილი გიორგი
3. ტყემალაძე გიორგი
4. მალაღურაძე ნუგზარი
5. კობახიძე თევდორე
6. გვილავა ირაკლი
7. დავითაძე ავთანდილ
8. ტალიაშვილი თამარ
9. სამნიძე ხათუნა
10. მჭედლიშვილი მალხაზ
11. ახვლედიანი გიორგი
12. უთმელიძე დავით
13. ჯინჭარაძე ტრისტან

ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

1. უგრეხელიძე სევდია
2. აბესაძე ირაკლი
3. ახვლედიანი მამუკა
4. შოშიაშვილი თამაზ
5. ნადირაძე ირაკლი
6. გრიგალაშვილი თეიმურაზ
7. მხეიძე ლევან

ნინო ბურჯანაძე – ერთიანი ოპოზიცია

1. ვეკუა ზაზა
2. ოგბაიძე შალვა
3. ცინცაბაძე თამარ

დავით თარხან-მოურავი – საქართველოს პატრიოტთა ალიანსი

1. მანჯავიძე იოსებ
2. მარშანია ადა

საქართველოს საარჩევნო კოდექსის შესაბამისად მაჟორიტარული საარჩევნო სისტემის საფუძველზე საკრებულოში არჩეულად ჩაითვლებოდა ის კანდიდატი, რომელიც სხვებზე მეტ ხმას მიიღებდა, შესაბამისად საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის საკრებულოს წევრებად თბილისის 25 ადგილობრივ მაჟორიტარულ ოლქში არჩეულ იქნენ ს/ბ „ქართული ოცნების“ კანდიდატები. გამონაკლის წარმოადგენდა საბურთალოს ერთ-ერთი მაჟორიტარული ოლქი, სადაც არჩეულ იქნა დამოუკიდებელი მაჟორიტარობის კანდიდატი ალექსანდრე ელისაშვილი.

საქართველოს საარჩევნო კოდექსის თანახმად, მერის არჩევნებში არჩეულად ჩაითვლებოდა ის კანდიდატი, რომელიც არჩევნებში მონაწილეთა ხმების 50%-ზე მეტს მიიღებდა, შესაბამისად საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების შედეგებში ვერც ერთმა კანდიდატმა ვერ დააგროვა საჭირო ხმათა რაოდენობა.



ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე ცესკომ საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მერის 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების მეორე ტური 12 ივლისს დანიშნა, რომელშიც მონაწილეობა უნდა მიეღოთ №5 „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატს ნიკანორ მელიასა და №41 „ქართული ოცნების“ კანდიდატს დავით ნარმანიას.

განმეორებითი კენჭისყრა

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი” 125-ე მუხლის საფუძველზე ბათილად ცნობილ საარჩევნო უბნებზე დაინიშნა განმეორებითი კენჭისყრა.

2014 წლის 29 ივნისს, ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების განმეორებითი კენჭისყრა, მაჟორიტარული წესით, 9 ოლქის 14 უბანზე გაიმართა.

“განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი” (CDD) 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების განმეორებით კენჭისყრის პროცესს 14-ივე უბანზე დააკვირდა. დაკვირვება განხორციელდა საუბნო საარჩევნო კომისიების მხრიდან კენჭისყრის დღის პროცედურების დაცვაზე, რაც მოიცავდა: უბნის გახსნას, ხმის მიცემის პროცესს, უბნის დახურვასა და შედეგების შეჯამებას.

ამომრჩეველი არჩევანს აფიქსირებდა მხოლოდ მაჟორიტარული სახის ბიულეტენით. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის დამკვირვებელთა მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, განმეორებითი კენჭისყრის პროცესი მშვიდ ვითარებაში, თუმცა მცირედი ხარვეზებით მიმდინარეობდა. ხარვეზები ძირითადად პროცედურული ხასიათის იყო, რომელიც საარჩევნო უბნის გახსნისა და ხმის მიცემის პროცესში დაფიქსირდა (ერთ-ერთ უბანზე არ იქნა ჩატარებული წილისყრის პროცედურები, აგრეთვე დაფიქსირდა გადასატანი ყუთით ხმის მიცემასთან დაკავშირებული პრობლემები), თუმცა აღნიშნული ხარვეზები მყისიერად გამოსწორებული იქნა ადმინისტრაციის მხრიდან და მათ საბოლოო შედეგებზე გავლენა არ იქონიეს.

ხმის დათვლისა და შედეგების შეჯამების შემდგომ, ზუგდიდის N32 უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე, ადგილი ჰქონდა მცირე ინციდენტს. არსებული ინფორმაციით, დაუდგენელი პირების მიერ მოხდა ცეცხლსასროლი იარაღიდან ჰაერში გასროლა, რასაც ადგილზე მღელვარება მოჰყვა. ჩვენი დამკვირვებლის ინფორმაციით, პოლიციამ ინციდენტში მონაწილე 3 პირი დააკავა.

კენჭისყრის დღეს ორგანიზაციის სათაო ოფისში ფუნქციონირებდა ქოლ-ცენტრი (790 333 111), სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონდა მიეღო საჭირო ინფორმაცია საარჩევნო პროცესების მიმდინარეობის შესახებ.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) სადამკვირვებლო მისიის მიერ განმეორებით კენჭისყრის პროცესი შეფასდა დადებითად. პროცესი წარიმართა მშვიდ და ორგანიზებულ გარემოში, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში.

არჩევნების II ტური

წინასაარჩევნო გარემო

2014 წლის 12 ივლისს, პირველად ქვეყანაში, მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტური დაინიშნა. მერის/გამგებლის არჩევნების მეორე ტური ჩატარდა იმ ოლქებში, სადაც 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების შედეგად, არჩევნებში მონაწილე სუბიექტებმა მერის/გამგებლის არჩევისთვის დაწესებული (50%+1) ბარიერი ვერ გადალახეს (8 თვითმმართველ ქალაქსა და 13 მუნიციპალიტეტში).

არჩევნების მეორე ტურის მოკლე ვადაში დანიშვნამ გარკვეული აჟიოტაჟი გამოიწვია ოპოზიციაში მყოფ სუბიექტებს შორის. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ აცხადებდა, რომ საარჩევნო კამპანიის ჩატარებისთვის მცირე დრო იყო დარჩენილი და აპროტესტებდა აღნიშნულ თარიღს. ექსპერტების შეფასებით ცხელი დღეები ამომრჩეველთა მოტივაციაზე განსაკუთრებულ ზეგავლენას ვერ მოახდენდა.

ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების 2014 წლის 15 ივნისის არჩევნების I ტურის შედეგებიდან გამომდინარე ცვლილებები განხორციელდა საარჩევნო ადმინისტრაციაში, კერძოდ საქართველოს ორგანული კანონის ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი” მე-13 მუხლის შესაბამისად უფლებამოსილება შეუწყდათ პოლიტიკური გაერთიანება ”ეროვნული ფორუმის” მიერ დანიშნულ კომისიის წევრებს (სამივე დონის საარჩევნო კომისიაში) და საარჩევნო ადმინისტრაციაში წევრის წარდგენის უფლება მიენიჭა პ/გ „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობას“.

2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის დანიშვნასთან დაკავშირებით, ცესკოს მიერ მიღებული დადგენილების საფუძველზე განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრს უფლებამოსილების ვადა გაუგრძელდა, დამატებით კი ორგანიზაციამ 21 დამკვირვებელი დაარეგისტრირა. შესაბამისად CDD-ის სადამკვირვებლო მისია 12 ივლისის მეორე ტურის მიმდინარეობას 161 კაციანი სადამკვირვებლო მისიით დააკვირდა, რაც მოიცავდა: უბნის გახსნას, ხმის მიცემის პროცესს, უბნის დახურვასა და შედეგების შეჯამებას.

არჩევნების მეორე ტურისთვის უფლებამოსილება გაუგრძელდათ შესაბამის საოლქო საარჩევნო კომისიის დროებით წევრებსა და საუბნო საარჩევნო კომისიებს.

არჩევნების მეორე ტურის ნაწილობრივი დაფინანსებისთვის საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილ იქნა 3 000 000 ლარი.

კენჭისყრის დღე

კენჭისყრის პროცესი 1,525 უბანზე მშვიდ გარემოში წარიმართა. დილის 08^{00} საათისთვის თითქმის ყველა საარჩევნო უბანი მზად იყო პირველი ამომრჩევლის მისაღებად. დადგენილი წესით, ინდივიდუალური ნომრის მქონე ლუქით დალუქული იყო ძირითადი და გადასატანი საარჩევნო ყუთები.

თბილისსა და რეგიონებში, საარჩევნო ბლოკ „ქართული ოცნებისა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წარმომადგენლები თავიანთი ამომრჩევლის მობილიზებას ცდილობდნენ. საარჩევნო უბნების მიმდებარე ტერიტორიაზე იმყოფებოდნენ საარჩევნო სუბიექტების წარმომადგენლები, რომლებიც უბანზე მისული ამომრჩევლების აღრიცხვას ახდენდნენ.

კენჭისყრის დღეს CDD-ის სათაო ოფისში ფუნქციონირებდა ქოლ-ცენტრი (790 333 111), სადაც ნებისმიერ დაინტერესებულ პირს საშუალება ჰქონდა მიეღო საჭირო ინფორმაცია საარჩევნო პროცესების მიმდინარეობის შესახებ.

კენჭისყრის პროცესი, მთელი დღის განმავლობაში, ძირითადად კანონით გათვალისწინებული პროცედურების დაცვით მიმდინარეობდა. ამომრჩეველთა მარკირება და მარკირების შემოწმების პროცედურა ძირითადად ხორციელდებოდა კანონით დადგენილი წესის დაცვით. რეგისტრატორების მიერ საარჩევნო ბიულეტენები სათანადოდ მოწმდებოდა ხელმოწერითა და ბეჭდით. ხმის მიცემის ფარულობა საარჩევნო უბნებზე ყოველთვის დაცული იყო.

არჩევნების მეორე ტურში ამომრჩეველთა აქტივობამ იკლო. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 617451 (36%) ამომრჩეველმა. რეგიონში მცხოვრები მოსახლეობა გამოირჩეოდა მეტი აქტიურობით ვიდრე თბილისში მცხოვრები ამომრჩევლები. მამაკაცთა სქესის წარმომადგენლების აქტივობა (37%) არჩევნებზე უფრო მაღალი იყო ვიდრე ქალთა (35,1%).





როგორც ამომრჩეველთა აქტივობის ანალიზიდან ჩანს, ყველაზე დიდი აქტივობა იყო დილის საათებში (08-12 სთ შუალედში), შემდეგ 12სთ-დან 15 სთ-მდე შუალედში აქტივობა შემცირდა 60%-ით, კიდევ უფრო შემცირდა 15-17 სთ შუალედში (16,9%-ით) და საღამოს საათებში (17-20 სთ) ამომრჩეველთა აქტივობამ ოდნავ იმატა 27 %-ით.





კენჭისყრის დღეს, 12 ივლისს, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 1267 შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ამომრჩეველმა, აქედან მცირემხედველი - 1048, უსინათლო - 120, სმენადაქვეითებული - 66 და ეტლით მოსარგებლე - 33 ამომრჩეველმა.

12 ივლისს, ცესკოს თავმჯდომარემ საზოგადოებას წინასწარი შედეგები წარუდგინა, ხოლო 13 ივლისს მოსახლეობას თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის წინასწარი საბოლოო შედეგები გააცნო.

კენჭისყრის დღეს არსებული დარღვევები, საჩივრები და დავები

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების მეორე ტურზე, CDD-ის მიერ განხორციელებული სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, მუშაობდა იურისტთა ჯგუფი, რომელიც მონიტორინგს უწევდა კენჭისყრის დღეს გამოვლენილ დარღვევებს.

კენჭისყრის დღეს დაფიქსირდა მცირე პროცედურული ხასიათის დარღვევები, რის თაობაზეც კანონით დადგენილი წესით დაიწერა საჩივრები, უმეტეს შემთხვევაში კი დამკვირვებლის მიერ საარჩევნო უბნებზე გაკეთებულ მითითებებს მოჰყვა სწრაფი რეაგირება საარჩევნო კომისიის მხრიდან და მოხდა ხარვეზის მყისიერად აღმოფხვრა.

საოლქო საარჩევნო კომისიებში, მთლიანობაში შესულ იქნა 167 განცხადება/საჩივარი, მათ შორის უმეტესობა (124) სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ იქნა წარდგენილი (დანარჩენი 38 - პოლიტიკური სუბიექტების მიერ იქნა შედგენილი). დარღვევები ძირითადად შეეხებოდა საარჩევნო დოკუმენტაციის არასათანადოდ წარმოება/შევსებას, შემაჯამებელი ოქმის არასათანადოდ შედგენას, შემაჯამებელი ოქმის უკანონოდ გადასწორებას, საარჩევნო სუბიექტებისა და ბათილი ბიულეტენების რაოდენობის შეუსაბამობას ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობასთან, საარჩევნო დოკუმენტაციის დალუქვის წესის დარღვევასა და სხვა. მათგან 61 განცხადება/საჩივარი სრულად, ხოლო 40 ნაწილობრივ დაკმაყოფილდა. 46 განცხადება/საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო 16 განუხილველად იქნა დატოვებული. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის მიერ წარდგენილ იქნა 4 განცხადება/ საჩივარი, რომელიც ნაწილობრივ იქნა დაკმაყოფილებული.

კენჭისყრის შედეგების შეჯამება

22 ივლისს საქართველოს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ 2014 წლის 15 ივნისის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოთა არჩევნების მეორე ტურისათვის, შესაბამისი საარჩევნო კომისიების მიერ შედგენილი, კანონიერ ძალაში შესული შემაჯამებელი ოქმების მიხედვით, მეორე ტურის შედეგები შეაჯამა.

თბილისის მერად „ქართული ოცნების“ კანდიდატი დავით ნარმანია აირჩა, რომელმაც 12 ივლისის არჩევნებში ხმების 72,47 % (222 066 ხმა) მიიღო, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ კანდიდატმა ნიკანორ მელიამ - 27,53% (84 350).

არჩევნების II ტურში, რვავე თვითმმართველი ქალაქის (თბილისი, თელავი, რუსთავი, გორი, მცხეთა, ოზურგეთი, ფოთი, ბათუმი) მერად და ცამეტივე თვითმმართველი თემის (ყვარელი, თელავი, ახმეტა, თიანეთი, გორი, თერჯოლა, ბაღდათი, ხონი, ტყიბული, ლანჩხუთი, მარტვილი, ქობულეთი, ხულო) გამგებლად არჩეულ იქნა „ქართული ოცნების“ მიერ წარდგენილი კანდიდატები.



დასკვნა

2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების არჩევნები განსაკუთრებული იყო თავისი მასშტაბითა და საარჩევნო სუბიექტების სიმრავლით, ხოლო კომპლექსური და საორგანიზაციო თვალსაზრისით იყო ყველაზე რთული არჩევნები საქართველოს არჩევნების ისტორიაში, ვინაიდან მოსახლეობამ პირდაპირი წესით აირჩია 12 თვითმმართველი ქალაქის მერი, 59 გამგებელი და 2083 საკრებულოს წევრი.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის (CDD) მიერ ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ (OSGF) ფინანსური მხარდაჭერით განხორციელებულმა სადამკვირვებლო მისიამ მოიცვა 73-ივე საარჩევნო ოლქი 150 კაციანი დამკვირვებელთა ჯგუფით. მათ მიერ მოწოდებულ ინფორმაციით კენჭისყრის პროცესმა (არჩევნების I და II ტურში) მთელი ქვეყნის მასშტაბით ორგანიზებულად, პროცედურების დაცვით ჩაიარა. ამომრჩეველს ჰქონდა ნების თავისუფალი გამოვლენის შესაძლებლობა, მნიშვნელოვან დარღვევებს მასშტაბური ხასიათი არ ჰქონია და შესაბამისად სადამკვირვებლო მისიის მიერ შეფასდა დადებითად.

განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრს მიაჩნია, რომ 15 ივნისის თვითმმართველობის არჩევნები ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯია თვითმმართველობების რგოლის გაძლიერების გზაზე.

რეკომენდაციები

არჩევნებისთვის თვისობრივად უკეთეს, გამჭვირვალედ, სამართლიან გარემოში ჩატარების მიზნით, მნიშვნელოვნად მიგვაჩნია შემდეგი საკითხების მოწესრიგება:

საარჩევნო სისტემა

საარჩევნო სისტემა წარმოადგენს ქვაკუთხედს საარჩევნო რეფორმის ჭრილში. დღეს მოქმედი საარჩევნო სისტემა წლებია წარმოადგენს კრიტიკის საგანს ადგილობრივი/ საერთაშირისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებისა და პოლიტიკური პარტიების მხრიდან, ვინაიდან, ის ვერ უზრუნველყოფს მნიშვნელოვანი საერთაშორისო სტანდარტების აღსრულებას, კერძოდ:

- საკრებულოს არჩევნებისთვის მოქმედი საარჩევნო სისტემა ვერ უზრუნველყოფს ამომრჩეველთა ნების პროპორციულად ასახვას მანდატებში;
- არსებული სისტემით ხდება ამომრჩეველთა ხმების მნიშვნელოვანი რაოდენობის დაკარგვა, რადგანაც გამარჯვებული შეიძლება გახდეს კანდიდატი, რომელსაც ამომრჩეველთა უმრავლესობამ მხარი არ დაუჭირა;
- არ არის უზრუნველყოფილი ერთი ხმის თანაბარი წონის პრინციპი, რადგანაც სიდიდით განსხვავებული საარჩევნო ოლქები საკრებულოში თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლებს ირჩევენ.
- არსებული სისტემა მმართველ გუნდს არჩევნებში უსამართლოდ დიდ უპირატესობას აძლევს.

საქართველოს რეალობის გათვალისწინებით მნიშვნელოვანია პოლიტიკური პლურალიზმისა და სხვადასხვა ჯგუფების წარმომადგენლობითობის გაზრდის წახალისება (ქალები, შშმ პირები, ეროვნული უმცირესობები).

შესაბამისად მნიშვნელოვანად მიგვაჩნია ისეთი საარჩევნო სისტემის შერჩევა, რომელშიც პირველ რიგში განსაზღვრული იქნება შემდეგი პრიორიტეტები:

- პროპორციულობა - ამომრჩეველთა ხმების პროპორციულად ასახვა მანდატებში;
- ამომრჩეველთა ე.წ. „დაკარგული ხმების“ მინიმალური ოდენობის უზრუნველყოფა;
- მცირე პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების წარმომადგენლობის ხელშეწყობა;
- სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფების წარმომადგენლობა (უმცირესობები) და გენდერული თანასწორობა;
- არჩევნებისადმი მოსახლეობის ნდობის გაზრდა;
- კანდიდატებზე ორიენტირება;
- მეორე ტურის აუცილებლობის ნაკლები ალბათობა;
- სიმარტივე.

უმნიშვნელოვანესია, რომ შერჩეული საარჩევნო სისტემა უზრუნველყოფდეს: სამართლიანი, თანასწორი, ფარული, თავისუფალი და გამჭვირვალე არჩევნების ჩატარებას. იგი უნდა იყოს მარტივი და ამომრჩევლისათვის საკუთარი ნების დაფიქსირება არ უნდა წარმოადგენდეს სირთულეს.

პასიური საარჩევნო უფლების საკითხი

საჭიროა საარჩევნო კანონმდებლობაში არსებული ხარვეზების მოწესრიგება: ცხოვრების ცენზის მოხსნა, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირებისათვის პასიური საარჩევნო უფლების მინიჭების საკითხი, დამოუკიდებელი კანდიდატებისათვის არჩევნებში მონაწილეობის უფლების უზრუნველყოფის აუცილებლობა.

მიგვაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისათვის (შშმ), პასიური სარჩევნო უფლების გამოყენების უზრუნველსაყოფად, შეიქმნას თანასწორობის ფონდი, რომელიც დააფინანსებს კონკრეტული შშმ კანდიდატის საჭიროებებს, რათა მან შეძლოს საარჩევნო კამპანიის წარმართვა თანასწორ პირობებში. აღნიშნული მიმართულებით შესაძლებელია გამოყენებული იქნას წარმატებული საერთაშორისო გამოცდილება.

გენდერული თანასწორობა

მიგვაჩნია, რომ მეტად მნიშვნელოვანია ქალთა წარმომადგენლობის გასაზრდელად შემოღებული იქნას ქმედითი მექანიზმები, რაც რეალურად გაზრდის ქალთა წარმომადგენლობას არჩევით თანამდებობებზე. მიგვაჩნია, რომ ერთერთი ქმედითი ნაბიჯი იქნება პროპორციული სისტემისათვის გენდერული ქვოტის შემოღება (სიაში ყოველი მეორე განსხვავებული სქესის წარდგენის ვალდებულებით).

მეტად მნიშვნელოვანია პოლიტიკურმა პარტიებმა ხელი შეუწყონ შიდა პარტიული ქალთა ორგანიზაციების ჩამოყალიბებასა და წინსვლას. გათვალისწინებული უნდა იქნას საერთაშორისო გამოცდილება და შემოღებულ იქნას შიდა პარტიული ქალთა მომზადებისა და დაწინაურების ეფექტური მექანიზმები. მნიშვნელოვანია შემუშავდეს ქალთა პოლიტიკური განათლების სახელმწიფო პროგრამები, რათა ამაღლდეს ქალთა პოლიტიკური მომზადების დონე.

პოლიტიკურ პარტიების დაფინანსება

მიგვაჩნია, რომ გამიჯნული უნდა იქნას პარტიის დაფინანსებასთან დაკავშირებული კანონმდებლობის დარღვევა, რაც ადმინისტრაციული შეცდომით არის განპირობებული და განზრახ ჩადენილი სამართალ დარღვევა, რომელთაგან პირველი პროპორციულ სამოქალაქო სანქციებს უნდა ექვემდებარებოდეს, ხოლო უფრო მძიმე განზრახ ჩადენილი დანაშაული სისხლის სამართლებრივ პასუხისმგებლობას ითვალისწინებდეს.

აუცილებელია გადაიხედოს საარჩევნო წლიური ხარჯების საერთო ოდენობა. საჭიროდ მიგვაჩნია მთლიან შიდა პროდუქტთან კავშირის გაუქმება და დადგინდეს რეალური ზედა ზღვარი, რომელიც შეესაბამება მოსახლეობის რაოდენობას და საარჩევნო კამპანიისათვის ხელმისაწვდომ რესურსებს.

უმნიშვნელოვანესია გადაიხედოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის, პოლიტიკური პარტიების ფინანსური მონიტორინგის სამსახურის რესურსები და მანდატი, რათა მათ შეძლონ სრულფასოვანი ფინანსური მონიტორინგის განხორიცელება და პოლიტიკაში არსებული თანხების მაქსიმალური გამჭვირვალობის ხელშეწყობა.

საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობის ოპტიმიზაცია

მიგვაჩნია, რომ უნდა გადაიხედოს საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ფუნქცია – მოვალეობები და მოხდეს მათი ოპტიმიზაცია. კენჭისყრის დღის პროცედურების გამარტივებისა და რიგი ფუნქციების სწორად გადანაწილების პირობებში მიგვაჩნია, რომ შესაძლებელია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა რაოდენობის შემცირება.

საუბნო საარჩევნო კომისიის ყველა წევრს უნდა ქონდეს მინიჭებული კონკრეტული ფუნქცია, ხოლო იმ უბნებზე, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა მცირეა შესაძლებელია, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ 6 წევრის ნაცვლად დანიშნული იქნას 2, 3, ან 4 წევრი. ამ შემთხვევაში კი, სავალდებულო ნორმად გაიწეროს, რომ ასეთი ტიპის საარჩევნო უბნებზე საუბნო კომისიის თავმჯდომარის არჩევა მოხდეს საოლქო საარჩევნო კომისიების მიერ პროფესიული ნიშნით დანიშნული წევრებისგან.

კომისიების შემადგენლობის ოპტიმიზაცია ხელს შეუწყობს არსებული რესურსის უკეთ გადანაწილებას, ადმინისტრაციის წევრებისთვის უკეთესი ანაზღაურებისა და მომზადების შესაძლებლობას.

უმნიშვნელოვანესია საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა ტრენინგებზე დასწრების ვალდებულების შემოღება. ასევე, პოლიტიკური პარტიების მიერ კომისიის წევრთა გამოწვევის ვადების შეზღუდვა და არსებული ვადების გაზრდა (არჩევნებამდე მინიმუმ 25 დღემდე), რათა მოხერხდეს კომისიის წევრთა სათანადო მომზადების უზრუნველყოფა.

მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანი არსებული სისტემით საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტების პირობებში (შერეული სისტემა: პროფესიული და პოლიტიკური პარტიების წარმომადგნელები) აუცილებელია დაზუსტდეს საარჩევნო ბლოკისათვის, როგორც საარჩევნო სუბიექტისათვის საარჩევნო ადმინისტრაციაში წევრთა წარდგენის მაქსიმალური რაოდენობა, რათა უზრუნველყოფილი იქნას პოლიტიკური პლურალიზმი საარჩევნო ადმინისტრაციის შემადგენლობაში, რაც წარმოადგენს პარტიული ნიშნით დანიშნული წევრების წარმომადგენლობის მთავარ არსს.

წინა საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობა

მიგვაჩნია, რომ მნიშვნელოვანია კანონმდებლობაში ნათლად განისაზღვროს საჯარო პირების მიერ წინა საარჩევნო კამპანიის ფარგლებში გამართულ ღონისძიებებში პასიური მონაწილეობის საკითხი, ასევე განისაზღვროს აქვთ თუ არა პოლიციელებს ამგვარ ღონისძიებებზე დასწრების უფლება და თუ აქვთ რა პირობებით შეუძლიათ მათ ამის გაკეთება.

არჩევნების დღის პროცედურების გამარტივება და ამომრჩეველთა სიები

უმნიშვნელოვანესია მოხდეს ამომრჩეველთა ბიომეტრული სიის ფორმირება. მიგვაჩნია, რომ არჩევნების დღე გადატვირთულია რიგი პროცედურებით, რაც ართულებს პროცესის ადმინისტრირებას, მედიის მიერ არჩვენების გაშუქებას, წარმოადგენს ბიუროკრატიულ მექანიზმებს და მოითხოვს დამატებით რესურსებს. მიგვაჩნია, რომ მარკირების პროცედურის ამოღებით და მედიის მიერ ვიდეო გადაღების შემზღუდველი დადგენილების გაუქმებით, შესაძლებელია არჩევნების დღის პროცედურების მნიშვნელოვნად გამარტივება.

საჭიროა გაგრძელდეს მუშაობა პრობლემურ მისამართებსა და რეგისტრაციიდან მოხსნილ ამომრჩევლებთან დაკავშირებით. საქართველოში რეგისტრაციის მისამართის შეცვლის მარტივი და ხელმისაწვდომი პროცედურის ამოქმედებით საქართველოს ბევრი მოქალაქე შეძლებს ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართისა და იურიდიული მისამართის შესაბამისობაში მოყვანას.

პოლიტიკური რეკლამა

მიგვაჩნია, რომ კანონით უნდა განისაზღვროს ფასიანი პოლიტიკური რეკლამის ზედა ზღვარი. მაუწყებელთა ფინანსური დეკლარაციების მიხედვით დაანგარიშდეს ე.წ. უფასო პოლიტიკური რეკლამის ღირებულება და მოხდეს მისი კომპენსირება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

ამ ცვლილებების განხორციელება ერთის მხრივ ხელმისაწვდომს გახდის პოლიტიკური რეკლამის განთავსებას ყველა პარტიისთვის, ხოლო მეორეს მხრივ ხელს შეუწყობს მაუწყებლების მდგრადობას. ასევე, კვალიფიციურ საარჩევნო სუბიექტებს მიეცეთ სპეციალური სარეკლამო ვაუჩერები, რომლითაც ისინი შეძლებენ განათავსონ პოლიტიკური რეკლამა მათთვის სასურველ არხზე. ამგვარი ცვლილება მოუხსნის ე.წ. უფასო პოლიტიკური რეკლამის განთავსების ტვირთს კერძო მაუწყებლებს.

ამომრჩევლის ნების დაფიქსირება –„ხმა ყველას წინააღმდეგ“

ამომრჩეველთა მხრიდან დაფიქსირებული პოზიციისა და მოთხოვნის შესაბამისად, მიგვაჩნია, რომ უმნიშვნელოვანესია ამომრჩეველს მიეცეს საშუალება არჩევნების დღეს, სურვილის შემთხვევაში, საარჩევნო ბიულეტენში დააფიქსიროს „ხმა ყველას წინააღმდეგ“ ამ შემთხვევაში ნათლად დაფიქსირდება ამომრჩევლის ნება და დღეს არსებული რეგულაციების შესაბამისად მსგავსი ბიულეტენი არ იქნება მიჩნეული ბათილად არამედ ჩაითვლება ამომრჩევლის პოზიციად.